სასახლე ოპოზიციებს არ თმობს

A2

ავიაკატასტროფა სუმატრაზე

A5

დარსაძე დაცვას მიხედავს

A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 6 სექტემბერი, 2005 წელი. №199 (1059)

ფასი 50 თეთრი

სპორტი

მოწესრიგებული ჭიგრით ნაშოვნი ქულები

საქართველოს ახალგაზრდულმა, უფრო სწორად, ძალიან ახალგაზრდულმა და ეროვნულმა გუნდებმა კიდევ ერთი საერთაშორისო ტური გადაიტანეს ისტორიაში. მონინააღმდეგე ორივეს მურტალი ჰყავდა.

A6

რევიუ

შავი სექტემბერი

6 სექტემბერს მიუნხენის სტადიონზე გამართულ სამგლოვიარო ცერემონიალზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ეივერი ბრენდეჯიმ ისტორიული ფრაზა წარმოთქვა: THE GAMES MUST GO ON! ("თამაშები უნდა გაგრძელდეს"!).

A7

რევიუ

ისტორიული ექსკურსი ბრიტპოპში

"ოაზისის" ლიდერობას ბრიტანული სინგლების ჩარტებში ჯგუფის "ისტორიულმა" მტერმა – "ბლარის" წამყვანმა მომღერალმა დეიმონ ალბარნმა მოუღო ბოლო თავისი ანიმაციური ბენდით "გორილაზ".

A8

ამინდი

	6/09	7 /09
თბილისი	26	26
ტყიბული	22	24
სოხუმი	23	25
დმანისი	21	22
გორი	22	23
ონი	17	20
ზუგდიდი	23	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7950
ევრო	2.2540
გირვანქა სტერლ.	3.3182
რუბლი	0.0637

ამბები	A 2
ამბები	A 3
მონიტორინგი	A 4
უცხოეთი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

პარლამენტის ხმაურიანი სტარტი

გიორგი ასანიშვილი

დღეს ოფიციალურად გაიხსნება პარლამენტის საშემოდგომო სესია. წინასასტარტო საზეიმო განწყობის ნაცვლად, საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობა საკმაოდ მინორულ ხასიათზეა - პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს პრესაში მისი მისამართით გამოთქმულმა "მოსაზრებებმა" გაუფუჭეს გუნება, ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი კი "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის ბრალდებების გამო იყო აღშფოთებული.

"ინფუზორიებს განსაკუთრებულ ყურადღებას ნუ მიაქცევ," - ურჩევს მაია ნადირაძე მიხეილ მაჭავარიანს.

ირინე ლიტვინოვიჩის ფოტო

პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომის დასაწყისი მეტად ხმაურიანი გამოდგა. საერთოდ მშვიდმა და გაწონასწორებულმა ვიცე-სპიკერმა ოპოზიციონერ კოლეგაზე მიიტანა იერიში და მას "ნაძირალა" და "ბინძური ადამიანი" უწოდა. მაჭავარიანის განრისხების მიზეზი გახდა ბიუროს სხდომამდე ორი საათით ადრე, დავით გამყრელიძის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომელშიც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ბიზნეს-ინტერესებზეც იყო საუბარი.

"ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს, პროვოკაცია რაღაც დოზით ასატანია, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. "მემარჯვენეები" მუდამ ჩემს დისკრედიტაციაზე მუშაობდნენ. მეგონა, ეს დრო უკვე წარსულს ჩაბარდა, მაგრამ, თურმე, ვცდებოდი. გამყრელიძის ხსენებაც აღარ მინდა და მას ამიერიდან "ობიექტად" მოვიხსენიებ. ჰოდა, თუ ეს ნაძირალა "ობიექტი" ვერ დაამტკიცებს, რაც ჩემზე თქვა, როდესაც ჩემთან მაგიდაზე მოხვდება, საუბარი ყოველთვის ბოდიშის მოხდით დაიწყოს. რაც თქვა, მაგ სიმართლით იაროს ამ ბინძურმა ადამიანმა, რომელიც ჩემს ოჯახს ანერვიულებს," - ვერაფრით მშვიდდებოდა მიხეილ მაჭავარიანი. მისივე თქმით, "ობიექტის" ასეთი რეაქცია იმ წრიდან მოდის, რომელიც შალვა რამიშვილს მფარველობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

შალვა რამიშვილმა შიმშილობა შეწყვიტა, კოხრეიძე კვლავ შიმშილობს

გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ თბილისის პირველ საპყრობილეში მყოფ სხვა პატიმრებთან ერთად, ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლები შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძეც მოინახულა. თუთბერიძის თქმით, შალვა რამიშვილმა გუშინ შიმშილობა შეწყვიტა – გარდა გარკვეული მოსაზრებებისა საკუთარი სიმართლის დამტკიცების ირგვლივ, მას შიმშილობის გაგრძელების საშუალებას არც ჯანმრთელობის მდგომარეობა აძლევს. სამაგიეროდ, შიმშილობას კვლავაც აგრძელებს დავით კოხრეიძე და თავის პოზიციას ღია წერილით ასაბუთებს.

"ამა წლის 28 აგვისტოს მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ, უკვე მეთერთმეტე დღეა, მე და შალვა რამიშვილი ვშიმშილობთ, - წერს დავით კოხრეიძე, - მოვლენათა სრული ანალიზის შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ შალვასთვის შიმშილობის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს, რადგან მისი სიმართლის დამტკიცებას დრო სჭირდება: ბევრი საკითხი შეიძლება იყოს სადავო, ბევრ რამეს დასჭირდება ანალიზი, საჭირო იქნება ბევრი მოწმის დაკითხვა და ა.შ.

რაც შემეხება მე, ვაგრძელებ შიმშილობას, რადგან ჩემი სიმართლის დასადგენად საჭიროა მხოლოდ ბექაურის მიერ გაკეთებული ფარული ჩანაწერის მთლიანად და დაუმონტაჟებლად ჩვენება, სადაც ის თავისი პირით ამბობს, რომ მე მისთვის არასდროს არაფერი მომითხოვია: "ბიჭო, თუ ამაზე იყო ლაპარაკი, იქ არ ვიყავი, ვერ მითხარითო". ესე იგი, არ მითქვამს ის, რასაც ის ჩვენი დაკავების შემდეგ მიცემულ ჩვენებაში ამბობს ჩემზე: დათო კოხრეიძემ 100 000 დოლარი მომთხოვაო. სწორედ ამიტომ მე ვაგრძელებ შიმშილობას და ვითხოვ, რომ ფაქტები არ დამახინჯდეს და გამოძიებაში ჩაერთონ საზოგადოების წარმომადგენლები, დაინტერესებული არასამთავრობოები, ოპოზიციის წარმომადგენლები და დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციები.

თავს ვთვლი პოლიტპატიმრად".

რა რეაგირება მოჰყვება დავით კოხრეიძის ამ მოთხოვნას, ჯერჯერობით უცნობია. როგორც ცნობილია, კობა ბექაურის მიერ თანხის გამოძალვის შესახებ მიცემულ ჩვენებებში დავით კოხრეიძე მხოლოდ მას შემდეგ იქნა ნახსენები, რაც ის შალვა რამიშვილთან ერთად თანხის გადაცემის მომენტში დააკავეს.

24 საათი

მოგვეცით თვითმმართველობა!

რადგან თქვენ ვერ გვხედავთ, ჩვენ თვითონ მაინც მივხედოთ თავს!

თენგიზ შერგელაშვილი
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

ჯერ შევთანხმდეთ, სანამ ვაშენებთ

ჯერ კიდევ გვახსოვს გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლო და 90-იანი წლების დასაწყისი, როდესაც ჩვენ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს "შენებას შევუდექით". ამ წლებში ერთმანეთს ენაცვლებოდა აღტკინება, იმედი, ეიფორია, გაცრუებული იმედები, პროტესტი, ომი, რევოლუცია და ა. შ. აგერ უკვე 15 წელი გავიდა და ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ან რა სახელმწიფოს ვაშენებთ. ქვეყნის მართვის სისტემა კვლავ ადამიანებზეა ჩამოკიდებული და იგი ყველაზე ახლოს საბჭოთა პერიოდის მართვის სტილთან არის. ფარისევლობაზე, მლიქვნელობაზე, კარისკაცობაზე და ბელადებზე ორიენტირებულობა არათუ შესუსტდა, არამედ ბოლო პერიოდში ამ სენმა ახალი ძალით შემოგვიტია. ეკონომიკურმა პრობლემებმა პერმანენტული ხასიათი შეიძინა. ვერც სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯები. სამართალდამცავ ორგანოებში კვლავ ორმაგი სტანდარტებია და კანონთანაც მწყრალად არიან, სასამართლო კი ისევ მათი დანამატია. ასეთი ბევრი რამ შეიძლება გავიხსენოთ, მაგრამ არავისთვის ეს დასკვნები ახალი არ არის.

ორი წლის წინ, ჩვენი სამართლიანი პროტესტით, ძველს უარი ვუთხარით და ახალს მივეცით გზა და ამ ყველაფერს ლამაზი სახელიც შევურჩიეთ – "ვარდების რევოლუცია". დღეს კვლავ გვიჩნდება პროტესტის გრძნობა და მალე ისევ დავიწყებთ ახლის ძიებას. ახალი უარესი იქნება თუ უკეთესი? ვინ იცის? ჩვენში მთავრობის გაქილიკება უყვართ, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ხშირად უფრო პასუხისმგებლობის სხვაზე გადაკისრების სურვილია, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ძალზედ სუსტია. იქნებ არ არსებობს "იდეალური მთავრობა" ან "მთავრობა ხალხისთვის", ასე ხშირად რომ გვიყვარს ხოლმე ამ სიტყვებით საუბარი?

გაგრძელება A3 გვერდზე

გადასახადის გადამხდელები აფხაზეთში ოპოზიციის საქმიანობას აფინანსებენ

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის, ვლადისლავ არძინბასთვის კანონით გათვალისწინებული შეღავათები პროსახელისუფლებო პოლიტიკოსებისა და პრესის მხრიდან, პერიოდულად, კრიტიკას იწვევს. კრიტიკას განაპირობებს არა მარტო თავად შეღავათები, არამედ ის, რომ ამ სახსრებით შესაძლებელია ოპოზიციის საქმიანობის დაფინანსება.

კანონი აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის შესახებ იმით არის უნიკალური, რომ ქვეყნის ყოფილ ლიდერს პოლიტიკური მოღვაწეობის უფლებას ანიჭებს. პირველი პრეზიდენტი სიცოცხლის ბოლომდე პარლამენტის დეპუტატია. მას შეუძლია, სახელმწიფო პრესაში თავისი მასალები უფასოდ გამოაქვეყნოს. ამასთან, პირველ პრეზიდენტს ისეთი შესაძლებლობები გააჩნია, რომელზეც სხვა დეპუტატები ვერც იოცნებებენ. კანონის თანახმად, მას ნება ეძლევა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე იყოლიოს თანაშემწეები, უზრუნველყოს ისინი ტრანსპორტით, ტექნიკითა და ხელფასით.

გაგრძელება A2 გვერდზე

ნავთობიმპორტიორები აქციზის განაკვეთის შემცირებას ითხოვენ

როგორ შევაჩეროთ ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა?

ნავთობპროდუქტებზე აქციზის განაკვეთის განახევრება საწვავზე ფასების შესამცირებლად ერთადერთი გამოსავალია. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ექსპერტთა ერთი ნაწილი და იმპორტიორთა უმრავლესობა. უფრო შორეულ პერსპექტივაში კი ისინი ხელისუფლებას საქართველოში თანამედროვე სტანდარტების ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ამუშავების რეკომენდაციას აძლევენ.

მარიამ ჯაჭვაძე

ბოლო პერიოდში ნავთობპროდუქტებზე ფასების კატასტროფული ზრდა, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც, კვირის მთავარ მოვლენად იქცა. გუშინ "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და მომხმარებელთა კავშირში" შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნას ცდილობდნენ. იმპორტიორები ხელისუფლებას ნავთობპროდუქტებზე, კერძოდ კი, ბენზინზე აქციზის საგადასახადო განაკვეთების განახევრებას, დიზელზე კი აქციზის საერთოდ მოხსნას ითხოვენ. **"საჭიროა ხელისუფლების მხრიდან შემდეგი ღონისძიებების ოპერატიულად გატარება: პირველ რიგში, აუცილებელია დიზელზე აქციზის გაუქმება, რაც ქვეყანაში საწვავის ამ სახეობაზე ფასს 15 თეთრით შეამცირებს. აუცილებელია, აგრეთვე, ბენზინის აქციზის განახევრება, რაც მის ფასს 10 თეთრით დასწევს,"** - განაცხადა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა. ის ირწმუნება, რომ ეს საწვავის ფასების გაიაფების ერთ-ერთი ბერკეტი იქნება.

ასეთი თხოვნით ნავთობიმპორტიორებმა შესაბამის სტრუქტურებს უკვე მიმართეს. თუმცა, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, გაითვალისწინებს თუ არა ხელისუფლება, იგივე ფინანსთა სამინისტროს სახით, იმპორტიორთა ამ პრეტენზიას.

ნავთობპროდუქტებზე ფასების დასარეგულირებლად, ცოტა უფრო შორეულ პერსპექტივაში, იმპორტიორები ხელისუფლებისგან თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ამუშავებას მოითხოვენ. "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და მომხმარებელთა კავშირის" თავმჯდომარის ინფორმაციით, დღესდღეობით საქართველოში ასეთი ქარხანა არ ფუნქციონირებს. ვანო მთვრალაშვილის

გაგრძელება A2 გვერდზე

რა მიზეზით აღმოჩნდა ნიუ ორლეანი წყალში?

მოლი აივენსი
კრიეიტორს სინდიკეთი

ოსტინი, ტექსასი – მრავალი თქვენგანივით, ვისაც ნიუ ორლეანი გიყვართ, მეც დღეს გონებაში მივუყვებოდი ჩემთვის საყვარელ ქუჩებს, ნაცნობ ადგილებს, მოედნებსა და სანაპიროს. ვწუხდი საყვარელ მეგობრებზე და ქალაქზე, ვფიქრობდი, როგორ არიან ისინი ახლა.

ერთ სამხრეთულ გამოთქმას რომ დავესესხოთ, სანამ მკვდრებს არ დათვლიან, დამნაშავის ძიების დაწყება კარგ ტონად ვერ ჩაითვლება. თუმცა, ნაადრევი არ იქნება იმის აღნიშვნა, რაც კვლავაც და კვლავაც უნდა გავიმეოროთ, რომ მთავრობის პოლიტიკას ადამიანების ცხოვრებაზე პირდაპირი გავლენა აქვს.

გაგრძელება A5 გვერდზე

ქარიშხალი და პლიუს მთავრობის არასწორი პოლიტიკა - არის ის, რაც ანადგურებს ხალხს.

გამყრელიძე ოპოზიციას მოუწოდებს, ნინო ბურჯანაძის თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი განიხილოს

საპარლამენტო ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე საპარლამენტო ოპოზიციას მოუწოდებს, განიხილოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი. ამის შესახებ დავით გამყრელიძემ გუშინ, პარლამენტში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

გამყრელიძის განცხადებით, წელიწადნახევრის განმავლობაში საქართველოს პარლამენტში ბევრი ცუდი ფაქტი მოხდა, რომელიც ნინო ბურჯანაძემ რეაგირების გარეშე დატოვა.

მისი განცხადებით, პირველი ამგვარი ფაქტი პარლამენტარ დავით კირკიტაძესა და სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომელს შორის მომხდარი ინციდენტია, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს რეაგირება არ მოუხდენია. იგი მეორე ფაქტად მთავრობის მხრიდან პარლამენტისადმი აგდებულ დამოკიდებულებას ასახელებს.

გამყრელიძის განცხადებით, აეროპორტის ტენდერთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები და ალექსი ალექსიშვილის მინისტრად დანიშვნაც პარლამენტის აგდებაა, რაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ასევე რეაგირების გარეშე დატოვა.

მესამე ფაქტად "მემარჯვენეები" ყოფილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოპოზიციის მოთხოვნას ასახელებენ, როცა ოპოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა. "პარლამენტის თავმჯდომარემ რეაგირება გააკეთა, რომლის ფასიც ნულის ტოლი იყო. ბურჯანაძის მაშინდელი განცხადებით, იგი ენდობოდა სამართალდამცავ ორგანოებს," - აცხადებს გამყრელიძე.

მეოთხე ფაქტად "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტს ასახელებს და აცხადებს, რომ ვალერი გელაშვილის ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტი შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავით ახალაიას კაბინეტში დაიგეგმა და თავად ახალაიამ ჩაატარა თათბირი, თუ როგორ უნდა გასწორებოდნენ ვალერი გელაშვილს. მეხუთე ფაქტად კი გამყრელიძე საქართველოს პარლამენტში ატეხილ მუშტიკრივს ასახელებს, რომელიც გამყრელიძემ ოპოზიციის ბართლომეს ღამედ შეაფასა.

ინტერპრესნიუსი

გამყრელიძე ბექაური-რამიშვილის ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს ოფიციალური წერილით მიმართავს და პარლამენტისგან დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს.

"მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერის განცხადებით, პარლამენტის წევრის კობა ბექაურისა და ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლისა და წამყვანის შალვა რამიშვილის გახმაურებული სკანდალი დროებითმა კომისიამ უნდა შეისწავლოს.

"მემარჯვენეების" განცხადებით, აღნიშნულ საქმეში პარლამენტის წევრის მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მუხლების დარღვევები იკვეთება, რაც პარლამენტის წევრის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში გამოიხატება. აღნიშნული მიმართვა დღეს "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა.

გამყრელიძის განცხადებით, იგი 12 აგვისტოს შეხვდა შალვა რამიშვილს, რომელმაც ტელეკომპანია "202"-ისა და სტუდია "რეპორტიორის" სამომავლო გეგმები გაანდო.

გამყრელიძის განცხადებით, შალვა რამიშვილი იმ პირველი ფილმის გარდა, რომელიც ბექაურსა და მაჭავარიანს შეეხებოდა, სტუდია "რეპორტიორთან" ერთად მეორე ფილმის მომზადებას აპირებდა, რომელიც შეეხებოდა ვანო მერაბიშვილს, როდესაც იგი უმაღლესის მინისტრი იყო.

შალვა რამიშვილი ასევე აპირებდა "დარდუბალას" აღდგენას, რომლის ახალი გმირიც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იქნებოდა.

სწორედ აქედან გამომდინარე, დავით გამყრელიძე მიიჩნევს, რომ ბექაური დღესაც აგრძელებს საკუთარი თანამდებობისა და მოღვაწეობის ბოროტად გამოყენებას, რათა ნარმატებული მეწარმე გახდეს.

გამყრელიძე აცხადებს, რომ თავად პარლამენტარები იყვნენ იმის მოწმენი, თუ როგორ მართავდა პარლამენტიდან საკუთარ ბიზნესს "ოპიზაში" ბექაური, როგორ აკონტროლებდა პარლამენტიდან ტელეფონით ტვირთების მოძრაობას. "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერის განცხადებით, შალვა რამიშვილის წინააღმდეგ ბექაურმა და მაჭავარიანმა დაგეგმეს პროვოკაცია, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის თანხმობით დავით ახალაიამ და ვანო მერაბიშვილმა განახორციელეს. "მემარჯვენე ოპოზიცია" მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, შეიქმნას საგამოძიებო კომისია მხოლოდ ორი პირობით, თუკი ამ კომისიაში უმრავლესობა იქნება ნაკლებად წარმოდგენილი და ამ კომისიის თავმჯდომარე ოპოზიციის წევრი იქნება. როგორც გამყრელიძე აცხადებს, თუკი შეიქმნება აღნიშნული საგამოძიებო კომისია, სურვილი აქვს, თავმჯდომარე თავად იყოს.

ინტერპრესნიუსი

გელა ბეჟუაშვილი სამშვიდობოებს აკრიტიკებს

რუსულ გაზეთ „ნოვიე იზვესტია"-სთვის მიცემულ ინტერვიუში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, რომ თუკი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონებში მოსკოვი ვითარებას არ გაუმჯობესებს, საქართველოს ხელისუფლება რუსი სამშვიდობოების მანდატის შეცვლის საკითხს დასვამს.

„სამშვიდობოები, ფაქტობრივად, მესაზღვრეები გახდნენ, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვარს იცავენ, მაშინ, როცა მათ სამშვიდობო პროცესის მიხედვით უნდა იმოქმედონ და კონფლიქტის მოგვარებას ხელი შეუწყონ, რაც არ ხდება... იმიტომ კი არა, რომ სამშვიდობოებში ცუდი ოფიცრები და ჯარისკაცები მსახურობენ. საქმე ისაა, რომ სამშვიდობო მისიის პოლიტიკური მიზანი, ისევე, როგორც სამშვიდობოების მანდატი, მოძველდა," - აცხადებს გელა ბეჟუაშვილი.

მისივე თქმით, რუსი სამშვიდობოები, კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად, კონტრაბანდაში მონაწილეობენ. ამასთან, ადამიანების თითქმის ყოველკვირეულ გატაცებაზე არ რეაგირებენ.

მედიანიუსი

რუსეთის საელჩო კახეთის ინციდენტის გამო პროტესტს გამოთქვამს

საქართველოში რუსეთის საელჩო თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში რუსული ტელეკომპანია "ენტეკვე"-ს თანამშრომლებთან დაკავშირებულ ინციდენტს ხულიგნობად მიიჩნევს და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს.

რუსეთის საელჩო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტით მიმართავს, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს მომხდარის გამოძიება, დაისაჯოს დამნაშავეები და ტელეკომპანიის ჟურნალისტებს მატერიალურ-მორალური ზიანი აუნაზღაურდეთ. რუსეთის საელჩო მოუწოდებს თავის მოქალაქეებს, რომ მათ წინააღმდეგ გახშირებული პროვოკაციული ქმედებების გამო, საქართველოში მხოლოდ მას შემდეგ ჩავიდნენ, რაც იქ საიმედო პარტნიორს გამონახავენ.

მედიანიუსი

კონტრაბანდისტის დაკავებისას პოლიციელებმა ცეცხლი გახსნეს

შიდა ქართლის პოლიციის თანამშრომლებს კონტრაბანდული სიგარეტის ამოსაღებად მიმდინარე ოპერაციის დროს ცეცხლის გახსნა მოუხდათ.

კასპის რაიონში, სოფელ ქობალაურთან ახლოს, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები "ვაზ 2108" მარკის ავტომანქანის შეჩერებას ცდილობდნენ, რომელშიც, მათი ინფორმაციით, კონტრაბანდული სიგარეტი უნდა ყოფილიყო. ავტომანქანის მძღოლმა გიორგი ქობულაშვილმა ფინანსურ პოლიციას მანქანა არ გაუჩერა და შეეჯახა პოლიციის ავტომანქანას.

ქობულაშვილი დაკავებულია. მისი ავტომანქანიდან 7000 კოლოფი უაქციზო რუსული წარმოების კონტრაბანდული სიგარეტია ამოღებული. ქობულაშვილს სიგარეტი ოსური მხარის კონტროლირებადი ტერიტორიიდან შემდგომი რეალიზაციისთვის თბილისში გადაჰქონდა.

ინტერპრესნიუსი

გადასახადის გადამხდელები აფხაზეთში ოპოზიციის საქმიანობას აფინანსებენ

პირველი გვერდიდან

ეს უფლებები პირველი პრეზიდენტის პოლიტიკურ საქმიანობას, ფაქტობრივად, მწვანე შუქს უნთებს. ბევრი მიიჩნევს, რომ სინამდვილეში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ოპოზიციის დაფინანსება ხდება. ოპოზიცია პირველი პრეზიდენტის სახელით მოქმედებს და სახელმწიფო სახსრებს იყენებს. საქმე ის არის, რომ ვლადისლავ არძინბა მძიმედ არის ავად და პარლამენტში ან ტელევიზიით გამოსვლა არ შეუძლია. ამას მისი სახელით ოპოზიციონერები აკეთებენ. პირველი პრეზიდენტი, ასე თუ ისე, დღემდე ძალიან პოპულარულია საზოგადოებაში, რაც ოპოზიციისთვის პოლიტიკური კაპიტალის დაგროვების საშუალებას წარმოადგენს.

არძინბას პოლიტიკური მოღვაწეობის ორგანიზებისთვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. იმ ელიტარული სახლის ეზოში, რომელშიც ვლადისლავ არძინბა ცხოვრობს, მთავრდება ორსართულიანი შენობის მშენებლობა, სადაც თანაშემწეების აპარატი განთავსდება. სხვათა შორის, ბევრი საუბრობს იმაზე, რომ არძინბა უკვე აქტიურად იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას, ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას, და ოპოზიციურ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს აფინანსებს. თუმცა, ერთ-ერთი ოპოზიციური გაზეთის "ფორუმის" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ მათი გამოცემა ტირაჟის რეალიზებითა და რეკლამით ინახავს თავს.

აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის შესახებ კანონის მიღებისას პარლამენტი ვარაუდობდა, რომ არძინბასთვის სერიოზული შეღავათების მინიჭებით და მისთვის პარლამენტში პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებით, მძიმე პოლიტიკური კრიზისის დაძლევა მოხერხდებოდა. დოკუმენტის მიღებისა და პრესაში გამოქვეყნების შემდეგ მისი ავტორობის აღიარება არავინ ისურვა, რამდენადაც, აფხაზეთის ეკონომიკური მდგომარეობის კვალობაზე, არძინბასთვის უზარმაზარი პრივილეგიები დაწესდა. ახლა კი სულ უფრო იზრდება იმათი რიცხვი, ვინც ამ კანონის დებულებათა რეკვიზიციის მომხრეა, ვინაიდან არძინბას თუნდაც ვირტუალური პოლიტიკური მოღვაწეობა ოპოზიციას ძალიან ეხმარება.

სასახლე ოპოზიციებს არ თმობს

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში აქციის შეწყვეტას არ აპირებენ.

ინტერფაქსი

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების მიუხედავად, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგები აქციის შეწყვეტას არ აპირებენ.

"პიონერფილმის" ხელმძღვანელის გრიგოლ ჩიგოგიძის ინფორმაციით, პედაგოგები სასახლეს კაპიტალურად დაალაგებენ და სამუშაო ოთახების მომზადებას დაიწყებენ.

სასახლეში სასწავლო პროცესი ორშაბათიდან დაიწყება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში აღმზრდელებისა და აღსაზრდელების მხარდამჭერთა ხელმოწერები კვლავ გროვდება.

ქართველი მსახიობის გურამ საღარაძის განცხადებით, მას ეჭვი არ ეპარება, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. "ეს იქნება კეთილშობილი ნაბიჯი პრეზიდენტისგან და ქალბატონი ნინო ანანიაშვილი არ გადმოვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში".

როგორც გრიგოლ ჩიგოგიძემ აღნიშნა, მათ უკვე დაუგზავნეს მიმართვები საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, საპატრიარქოს, მერიასა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ბორჯომში საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ვახტან ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სტუდიისთვის გადაცემის პროცესი დროებით გადაიდო.

მიხეილ სააკაშვილმა სპეციალური განკარგულება გასცა, განსაკუთრებულად იქნეს შესწავლილი აღნიშნული საკითხი და გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ ისე მოხდეს, რომ მის სამართლიანობაში არც მოსწავლესა და არც მასწავლებელს ეჭვი არ შეეპაროს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორის გია შალამბერიძის განცხადებით, სასახლეს საფრთხე აღარ ემუქრება. "სასახლის ხელმძღვანელობას და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის გაგრძელდება კონსტრუქციული დიალოგი, რაც ორივე მხარეს სწორ გადაწყვეტილებამდე მიიყვანს," - აღნიშნა შალამბერიძემ.

როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი ამბობს, სასახლის ხელმძღვანელობას და მერიის წარმომდგენლებს შორის მოლაპარაკებათა პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა.

ინტერპრესნიუსი

ნავთობიმპორტიორები აქციზის განაკვეთის შემცირებას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

განცხადებით, უკანასკნელი შვიდი ნავთობგადამამუშავებელი მცირე საწარმო, მიმდინარე წლის დასაწყისში, ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტოს გადაწყვეტილებით გაჩერდა.

ცალკეული ექსპერტული გათვლებით, ახალი ნავთობგადამამუშავებელი მცირე საწარმოს მშენებლობა დაახლოებით 300 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება, თუმცა **"ეს ქარხანა მომავალში იმის საშუალებას მოგვცემს, რომ საწვავის ფასის დარეგულირების საუკეთესო ბერკეტები შევიმუშაოთ,"** - ამბობს მთვრალაშვილი.

იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება ნავთობიმპორტიორთა მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, გაიზრდება თუ არა საქართველოში საწვავის ფასი? ამ კითხვაზე კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი ასე პასუხობს: **"ეს, გარკვეულწილად, დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზარზე. ამ შემთხვევაში მომავალი პროგნოზი საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ორ კვირაში საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია ამერიკას ნავთობპროდუქტებს მიაწვდის, რაც ფასების სტაბილიზაციას გამოიწვევს,"** - განაცხადა მთვრალაშვილმა და დასძინა, რომ ვიდრე მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასები სტაბილური არ გახდება, საქართველოში საწვავის ფასების პროგნოზირება შეუძლებელი იქნება.

ცნობისათვის: ბოლო სამი დღის განმავლობაში საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასმა 20 თეთრით მოიმატა. ბენზინ „რეგულარის" ფასი 1.40-1.60 ლარის ფარგლებში მერყეობს, „პრემიუმის" ფასი კი 1.70-1.85 ლარამდე აღწევს. შესაბამისად მოიმატა დიზელის ფასმა. ის 1.40-1.60 ლარამდე გაიზარდა.

ყოფილმა ვიცე-მერმა დანაშაულის სალიკვიდაციო გირაო გადაიხადა

მაია მეკეხვარიშვილი
ქუთაისიდან

ქუთაისის ყოფილი ვიცე-მერი გივი ჯიბლაძე კიდევ ერთხელ და, როგორც ჩანს, არა საბოლოოდ, ექცევა სამართალდამცავი უწყებების ყურადღების ცენტრში და კიდევ ერთხელ წარმატებით ახერხებს შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევას. ამჯერად ჯიბლაძეს ეს ოფიციალურად გადახდილი 10000 ლარი დაუჯდა. ეს არის გირაოს თანხა, რომლის გადახდაც მას სასამართლოს გადაწყვეტილებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა, რათა მან შემდგომში თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს, ასევე, ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

"გივი ჯიბლაძეს წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება, რაშიც მან თავი დამნაშავედ სრულიად ცნო," - ნათქვამია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც ბრალდებულ ჯიბლაძეს ზემდგომ ინსტანციაში არ გაუსაჩივრებია. უფრო მეტიც, მან სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღასრულა და 10000 ლარი უპრობლემოდ გადაიხადა. ცხადია, ჯიბლაძის ეს ჟესტი მისი მხრიდან გამოვლენილ კანონმორჩილებად ნაკლებად აღიქმება, რადგან პროკურატურის მიერ აღძრული საქმე სწორედ ქუთაისის მთავრობაში მის უკანონო სამოხელეო საქმიანობას ეხება.

გივი ჯიბლაძე შარშან 18 მაისს სამთვიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნა ქუთაისის მერის მოადგილის თანამდებობაზე, ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა საკითხებში. ჯიბლაძის კორუმპირებულობის შესახებ ქუთაისში ინფორმაცია იმთავითვე, თანამდებობაზე მის გამოსაცდელ პერიოდშივე გავრცელდა. იმავდროულად საზოგადოებას მისი კრიმინალური წარსულის თაობაზეც ეცნობა. გივი ჯიბლაძე მართლმსაჯულების წინაშე პირველად 16 წლის ასაკში წარდგა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჯიბლაძემ ქუთაისის ვიცე-მერად სრული ცხრა თვის მანძილზე იმუშავა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მედია ღიად საუბრობდა ვიცე-მერის კორუფციულ გარიგებებსა და ბიზნეს-ინტერესებზე. მედიაში გაჟღერებული ფაქტების ერთი ნაწილი მოგვიანებით საქართველოს კონტროლის პალატამ დაადასტურა, რომელმაც ქუთაისის მთავრობის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა შეისწავლა 2002 წლიდან 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდში და ის არადაკმაყოფილებლად შეაფასა. რამდენიმე კონკრეტული საქმის განხილვა კი კონტროლის პალატამ სამართალდამცავი უწყებების განსჯადად ჩათვალა. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ვიცე-მერის გივი ჯიბლაძის უკანონო ქმედებას უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობის მოსაკრებლებისა და ნებართვების სამსახურთან მიმართებაში.

ქუთაისის საკრებულოს 2004 წლის 19 მაისის N200 დადგენილებით, მოხდა ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის ლიკვიდაცია და მის ბაზაზე თითქმის ანალოგიური ფუნქციებით შეიქმნა ახალი სამსახური – "ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული ინსპექცია", რომლის უფროსადაც, "ვარდების რევოლუციის" წინამორბედ საპარლამენტო არჩევნებში გაწეული "ღვაწლის" სანაცვლოდ, დაინიშნა ჯიბლაძის მეგობარი შოთა ოჩიგავა. საკრებულოს N200 დადგენილებას მოჰყვა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის, გია გიორგაძის 2004 წლის 1 ივნისის N259 განკარგულება ადგილობრივი თვითმმართველობის მოსაკრებლებისა და ნებართვების სამსახურის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის თაობაზე. კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა ვიცე-მერი გივი ჯიბლაძე.

"გივი ჯიბლაძემ, როგორც მოხელემ - ქუთაისის მერის მოადგილემ და სალიკვიდაციო კომისიის ხელმძღვანელმა, გადაამეტა რა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, 2004 წლის 14 ივლისის სალიკვიდაციო კომისიის N1 აქტით მიზანშეწონილად ჩათვალა ლიკვიდაციის დღისთვის სამსახურში არსებული 2000-2004 წლების: ვაჭრობისა და გარევაჭრობის ნებართვების, გარე რეკლამის ნებართვების, სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვების ნებართვების, ავტოსატრანსპორტო პარკირების ნებართვების ყუებისა და მოსაკრებლების გადამხდელთა მიერ წარმოდგენილი მოსაკრებლების გადახდის დამადასტურებელი ქვითრების ქსეროასლების განადგურება. აღნიშნული გადაწყვეტილება მომდევნო დღეს სისრულეში იქნა მოყვანილი, რის გამოც საქართველოს კონტროლის პალატის მიერ რევიზიის ჩატარების პროცესში დადგენილი ვერ იქნა ქუთაისის ნებართვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის მიერ 2000-2004 წლებში აკრეფილი და ბიუჯეტში შეტანილი თანხების რეალობა და ურთიერთშესაბამისობა, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია", - ეს გახლავთ პროკურატურის ბრალდების ნაწილი გივი ჯიბლაძის მიმართ.

კონტროლის პალატის მიერ აღმოჩენილი დარღვევების სპექტრი კი ჯიბლაძის, როგორც ვიცე-მერის საკურატორო სამსახურების შემოწმების შედეგად გაცილებით უფრო მრავალფეროვანია. კერძოდ, მნიშვნელოვანი დარღვევები ფიგურირებს საბიუჯეტო ხარჯებში ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის კუთხით.

ამ რამდენიმე ხნის წინ გივი ჯიბლაძემ ქუთაისის ვიცე-მერობის შემდეგ თბილისში მოპოვებული თანამდებობაც დაკარგა, კერძოდ, "არქმშენინსპექციის" უფროსის მოადგილის პოსტი, რასაც წინ უძღოდა ჯიბლაძის სახელთან დაკავშირებული კიდევ ერთი სკანდალი: იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში ჯიბლაძის მხრიდან ჟურნალისტზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტზე საჩივარი ორი თვის წინ შევიდა. პოლიცია ჟურნალისტს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ჯიბლაძის მხრიდან მუქარის განმეორების ან სისრულეში მოყვანის შედეგად დაჰპირდა. სისხლის სამართლის საქმე ყოფილი ვიცე-მერის წინააღმდეგ პროკურატურამ აღძრა. "საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის" შემდეგ არ არის გამორიცხული, გივი ჯიბლაძე კვლავაც რომელიმე სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვიხილოთ, ან უარეს შემთხვევაში, "ახალი ქართველის" ტიპურ სახედ მოგვევლინოს ბიზნეს წრეებში.

მოკლედ

აფხაზეთის რკინიგზის შესწავლა დასრულდა

რუსმა და აფხაზმა სპეციალისტებმა ფსოუ-ენგურის სარკინიგზო მონაკვეთის ინფრასტრუქტურის შესწავლა უკვე დაასრულეს.

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ვიცე-პრემიერ ლეონიდ ლაკერბაიასთან გამართულ სხდომაზე რუსეთ-საქართველოს შორის გამჭოლი რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ინფრასტრუქტურის შემსწავლელი სამუშაოების შედეგები განიხილეს.

ამ სამუშაოებს სწორედ ლაკერბაია კურირებს.

"შედგენილია სპეციალური აქტები, რომლებიც შესრულებული სამუშაოების შედეგებს ასახავს," - აცხადებს ლეონიდ ლაკერბაია.

აფხაზეთის 194-კილომეტრიანი რკინიგზის შესწავლაში სამი მობილური ჯგუფი მონაწილეობდა. მათ კოორდინაციას რუსეთის სარკინიგზო ტრანსპორტის საგენტოს სამხრეთ-ტერიტორიული სამმართველოს უფროსი ვლადიმირ ბელიანსკი ახორციელებდა.

აფხაზურმა მხარემ შეთანხმება დაარღვია და ქართველ სპეციალისტთა 9-კაციანი ჯგუფი, იმ არგუმენტით, რომ ამ ჯგუფში აფხაზეთიდან დევნილი პირებიც შედიოდნენ, აფხაზეთში არ შეუშვა. ქართული მხარე აცხადებს, რომ რკინიგზის ცალმხრივად შესწავლა შედეგს არ გამოიღებს. **მედიანიუსი**

საგადასახადო ამნისტიის შედეგებზე პარლამენტარებს სხვადასხვა აზრი აქვთ

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ საგადასახადო ამნისტიისგან ქვეყანამ ფინანსური ეფექტი ვერ მიიღო.

"აუცილებელია, გაკეთდეს ანალიზი იმის დასადგენად, თუ რატომ მოხდა, რომ ასეთი კარგი კანონის პირობებში დასახულ შედეგს ვერ მივაღწიეთ მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში უარესი კანონებით უკეთეს შედეგებს მიაღწიეს," - განაცხადა თევდორაძემ პარლამენტის ბიუროს დღევანდელ სხდომაზე.

საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი კოვზანაძის თქმით, ასეთი განცხადებების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან მოქმედი კანონით, საკუთარი ქონების ლეგალიზაციის საშუალება მოქალაქეებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე აქვთ.

მისი თქმით, რა რაოდენობის თანხის ლეგალიზება მოხდა საბანკო სისტემაში, ჯერჯერობით არავინ იცის, თუმცა საბანკო დეპოზიტების მატება სახეზეა. "წლის ბოლომდე მოქალაქეებს უფრო მეტი თანხების ლეგალიზების საშუალება ექნებათ," - აღნიშნა კოვზანაძემ.

ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" თავმჯდომარის, ვანო ჩხარტიშვილის აზრით, საგადასახადო ამნისტიის კანონის არაეფექტურობა იმითაა განპირობებული, რომ კანონის საბოლოო ვარიანტი თავდაპირველად არსებულ იდეას არ შეესაბამებოდა.

მისი თქმით, არაეფექტურად მუშაობს ასევე მოქმედი საგადასახადო კოდექსის ბევრი მუხლი. "მაგალითისთვის, თამბაქოს დაბეგვრის მექანიზმიც კმარა. გაზრდილმა აქციზმა ცუდი ფისკალური ეფექტი მოგვცა, ამიტომ შესაძლებელია, მის გადახედვაზე ვიფიქროთ," - განაცხადა ჩხარტიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ორი სიტყვით

თბილისი. "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერს სამარცხვინოდ მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე გაჟღერებული იდეა, სამართალდამცავი ორგანოებისგან პარლამენტის წევრის შეუთავსებელი საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით.

"მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, ასეთი რამ თურქმენეთსა და ჩრდილოეთ კორეაშიც არ ხდება და ეს არის ბოლო წერტილი საქართველოს პარლამენტარიზმის დასამარებისა.

დავით გამყრელიძის განცხადებით, თუკი აღნიშნული კომისია შეიქმნა, ამით საქართველოს პრეზიდენტი ხელისუფლების შტოებს შორის გამიჯვნას საბოლოოდ გადაუსვამს ხაზს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გუშინდელი გადაწყვეტილების თანახმად, შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს ორგანიზაციები - "საქართველოს ახალგაზრდობის კონსერვატიული კავშირი", "სამართლებრივი საქართველო" და "სამოქალაქო სახელმწიფო - დემოკრატიული რეგიონები" დააკავირდებიან.

დამკვირვებლის სტატუსზე უარი ეთქვა ორგანიზაციას "დემოკრატიის ცენტრი". როგორც ცესკოში აცხადებენ, აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საოლქო სასამართლოში, მისი მიღებიდან სამი დღის ვადაში. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

პარლამენტის ხმაურიანი სტარტი

პირველი გვერდიდან

აღელვებული ვიცე-სპიკერის დაწყნარება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ სცადა, რომელმაც მაჭავარიანს ურჩია, **"ინფუზორიებს განსაკუთრებულ ყურადღებას ნუ მიაქცევს".**

"ერომანეთის ღირსება უფრო მეტად უნდა დავიცვათ, ვიდრე საკუთარი," - ასეთი დევიზი შესთავაზა უმრავლესობის წევრებს მისმა თავმჯდომარემ.

მიხეილ მაჭავარიანისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ბიუროს სხდომაზე დამსწრე ოპოზიციონერი დეპუტატის ბიძინა გუჯაბიძის რჩევა, რომლის აზრითაც, მიზანშეწონილი იქნება, თუ პოლიტიკოსებს შორის დაპირისპირება ღანძღვა-გინებას, არაეთიკურ გამოთქმებს გასცდება და სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა.

"მეტი საქმე არა მაქვს, მაგ ნაძირალას სასამართლოში ვსდიო," - "ობიექტისთვის" სამართლებრივი ანგარიშსწორების ფორმაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე უარს ამბობს.

დავით გამყრელიძემ გუშინ, მიხეილ მაჭავარიანზე მეტად, ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ გაილაშქრა და თანამდებობაზე მისი დარჩენის მიზანშეწონილების საკითხიც კი წამოჭრა. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარეს ამაზე საჯარო რეაგირება არ მოუხდენია. ბიუროს სხდომაზე სპიკერმა დამსწრეთა ყურადღება უფრო პრესის მუშაობას მიაპყრო.

"კანონით გათვალისწინებულ პრესის თავისუფლებას მივესალმები, მაგრამ არსებობს ელემენტარული ეთიკაც. კრიტიკას და განსხვავებულ აზრს გაგებით ვეკიდები, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ გაზეთებში ხშირად აშკარად მიზანმიმართული ცრუ, ყალბი განცხადებები კეთდება და დეზინფორმაციები ვრცელდება," - მიიჩნევს ნინო ბურჯანაძე.

მიხეილ მაჭავარიანის მსგავსად, "მრჩეველი" სპიკერსაც გამოუჩნდა. **"პრეზიდენტმა თქვა, ექვსი თვე გაზეთი არ წამიკითხავსო. კარგი იქნება, თუ ჩვენც ასევე მოვიქცევით,"** - "მავნე ჩვევაზე" (გაზეთების კითხვაზე) ხელის აღების მომხრეა ფრაქცია "მაჟორიტარის" თავმჯდომარე ბესო ჯუღელი.

■ ■ ■

ვიდრე ბიუროს სხდომაზე მონასტერი აირეოდა, ნინო ბურჯანაძემ საკანონმდებლო ორგანოს მიერ საგაზაფხულო სესიის დროს განეული მუშაობის შეფასება "მოასწრო".

"განვლილ სესიაზე ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი მივიღეთ, რომელთა შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია განათლების სფეროს რეფორმირებასთან დაკავშირებული კანონები. პარლამენტის მისამართით გამოთქმული კრიტიკის მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას უარყოფითად მაინც ვერ შევაფასებ. თუმცა, არც თვითკმაყოფილების საფუძველი გვაქვს. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. პირველ რიგში, ჩვენ მიერ მიღებული კანონების რევიზია უნდა მოვახდინოთ - ვნახოთ, ისინი შესწორებებს ხომ არ საჭიროებენ. ამასთან, საჭიროა მთავრობაზე ზედამხედველობის გაძლიერება და იმის შესწავლა, თუ როგორ ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს," - ასეთია სპიკერის რეზიუმე.

ზოგიერთი კანონი გადახედვას რომ საჭიროებს, ეს ბიუროს სხდომაზეც წარმოჩინდა. ელენე თევდორაძის აზრით, ფინანსურ ამნისტიას არანაირი ეფექტი არ მოჰყოლია და ამიტომ მისი შედეგების ანალიზი უნდა მოხდეს.

"სხვა ქვეყნებმა ბევრად უარესი კანონი მიიღეს, მაგრამ ჩვენზე გაცილებით უკეთესი შედეგები აქვთ," - ჩივის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

პრეტენზიები აქვს ვანო ჩხარტიშვილსაც. მისი თქმით, საგადასახადო კოდექსის ძალიან ბევრი მუხლი არაეფექტური აღმოჩნდა. ამის მაგალითად ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარის" თავმჯდომარე აქციზის შემოსავლებს ასახელებს.

"მთავრობა 93 მილიონი ლარის მიღებას გეგმავდა, მაგრამ მიუჯეტში რეალურად მხოლოდ 5 მილიონი შევიდა," - საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლების გადასინჯვას ითხოვს ჩხარტიშვილი.

პარლამენტის გუშინდელმა ბიურომ ახალი საკანონმდებლო ინიციატივები დაამტკიცა, რომელთა შორის აღსანიშნავია კანონპროექტი "საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ". თუმცა, მიხეილ მაჭავარიანის თხოვნით, მისი განხილვა მოგვიანებით, საპარლამენტო დელეგაციის სტრასბურგიდან დაბრუნების შემდეგ გაიმართება.

ბიზნესმენები "ათასწლეულის გამოწვევის" პროექტს დეტალურად გაეცნობიან

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ("ემ-სი-ჯი") აღმასრულებელი დირექტორი ლაშა შანიძე დღეს, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში პროექტის პრეზენტაციას გამართავს.

შანიძე ბიზნესმენებს "ათასწლეულის გამოწვევის" პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას წარუდგენს. იგი ისაუბრებს საკონსულტაციო კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელიც "ემ-სი-ჯი"-ს პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით საკუთარ რეკომენდაციებს წარუდგენს.

რვა წევრისგან დაკომპლექტებულ საკონსულტაციო კომიტეტში არასამთავრობო სექტორის - სამი, ბიზნესის – 2 და მთავრობის - 3 წარმომადგენელი შევა. იმ კომისიას კი, რომელიც საკონსულტაციო კომიტეტის 2 ბიზნეს-წარმომადგენელს შეარჩევს, ბიზნესმენთა ფედერაციის წევრებიც დააკომპლექტებენ. კომისიის წევრებს ხვალ, ბიზნესმენთა ფედერაციაში დაგეგმილ შეხვედრაზე შეარჩევენ.

"ემ-სი-ჯი"-მ არასამთავრობო ორგანიზაციების შესარჩევად კონკურსი აგვისტოში გამოაცხადა. განცხადებების მიღება 16 სექტემბრამდე გაგრძელდება, ორგანიზაციებს კი სექტემბრის ბოლოს სპეციალური კომისია შეარჩევს.

"ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა", რომელიც გარდამავალი ქვეყნებისთვის გრანტებისა და ინვესტიციების გამოყოფას ითვალისწინებს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დააარსა. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში, "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო" პროექტების განსახორციელებლად 300 მილიონ დოლარს მიიღებს.

ინტერპრესნიუსი

სიახლე კონტროლის პალატაში

საქართველოს კონტროლის პალატაში პერსონალის სწავლებისა და მართვის ცენტრი გაიხსნა. ცენტრი პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გახსნა. "თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კონტროლის პალატა საქართველოს პარლამენტის ძირითადი ფუნქციის განხორციელების აუცილებელი პირობაა," – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ, ახალი ცენტრის პრეზენტაციაზე.

ცენტრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს კონტროლის პალატის ერთობლივი პროექტის - "სახელმწიფო კონტროლის სისტემების ქმედითუნარიანობის გაძლიერება" - ფარგლებში ჩამოყალიბდა.

პერსონალის სწავლებისა და მართვის ცენტრის შექმნა და შემდგომი განვითარება აღნიშნული პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. თავად ცენტრის მიზანი კი კონტროლის პალატის მოხელეთა ცოდნის, კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების პერმანენტული ამაღლება, ასევე, ზოგადად ადამიანური რესურსების განვითარებაა. როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარე ზურაბ სოსელია აკონკრეტებს, ცენტრის საქმიანობის ორგანიზაციულ, მეთოდურ, ტექნიკურ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას გაეროო-ს განვითარების პროგრამის პროექტი უზრუნველყოფს.

ნინო ბურჯანაძის შეფასებით, ამ პროექტის განხორციელებით კონტროლის პალატაში მნიშვნელოვანი საქმე დაიწყო, რის შემდეგაც საქართველო ევროპული სტანდარტების შესაბამის, კარგად მოწყობილ და ორგანიზებულ კონტროლის პალატას მიიღებს. "მეგობრების დახმარებით, ეს ორგანო იმ სტრუქტურად იქცევა, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოს განვითარებისთვის," - განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, თანამედროვე სტანდარტების კონტროლის პალატა საქართველოს პარლამენტის ძირითადი ფუნქციის განხორციელების აუცილებელი პირობაა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პარლამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სახელმწიფო ორგანოებზე ზედამხედველობის განხორციელებაა, რაშიც მას კონტროლის პალატა დაეხმარება. ამისთვის კი კონტროლის პალატის მიერ სრულყოფილი და ობიექტური დასკვნების მომზადებაა საჭირო. "კონტროლის პალატა არის მთავარი ანტიკორუფციული ორგანო, რომელიც ღიად და გამჭვირვალედ ჩაატარებს სახელმწიფო ორგანოებში რევიზიას და მინიმუმამდე შეამცირებს საბიუჯეტო ორგანოებიდან არამიზნობრივი ხარჯვების ალბათობას. ეს იქნება ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირების გარანტი," - განაცხადა ბურჯანაძემ. მისივე შეფასებით, ის, რომ პარლამენტს ზედამხედველობის ფუნქცია აკისრია, ჯანსაღ კონტროლსა და სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსის დამყარებას გულისხმობს.

24 საათი

მოგვეცით თვითმმართველობა!

პირველი გვერდიდან

იქნებ სწორ გზაზე არ ვდგავართ? იქნებ უარი უნდა ვთქვათ მთავრობისაგან ჩვენი ცხოვრებისათვის გარანტიების შექმნის მოლოდინზე და ყველანი შევთანხმდეთ ერთ რამეზე - ეს სახელმწიფო არ აშენდება ზემოდან: ბელადებისაგან, მთავრობისაგან, და მჭერმეტყველი პოლიტიკოსებისაგან? იგი თითოეული ჩვენგანის ასაშენებელია. იმისათვის, რომ რაიმე ახლის შენებას შევუდგეთ, რამდენიმე ძირეულ პრინციპზე უნდა შევთანხმდეთ. არჩევნებზე კი პოლიტიკოსებსა თუ პარტიებს შორის ამ ჩვენი შეთანხმების საუკეთესო დამცველები უნდა ვეძიოთ, თან მუდმივად ვაკონტროლოთ, რომ მათ ამ გზიდან არ გადაუხვიონ. თორემ, ერთ გადახვევას მეორე მოჰყვება, მეორეს - მესამე და . . .

საბჭოთა პერიოდი ზოგს კარგ მოგონებად დარჩა. გვიან გავიგეთ, რომ მსოფლიოში უკეთესი ქვეყნებიც ყოფილა. რადგანაც ჩვენ სწორედ იმ უკეთესი ქვეყნებისკენ მივისწრაფით, უპირობოდ უარი უნდა ვთქვათ საბჭოურ სისტემებზე. აქ გარეგნულ ფასადს არ ვგულისხმობ - ძირეულად და არსებითად უნდა უარვყოთ საბჭოური აზროვნება.

ამ ქვეყანაზე ყველაფერს ჩვენ ვქმნით ჩვენი ცოდნით, გამოცდილებითა და შრომით. ჩვენი სიმდიდრე და სიღარიბე ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ გვაქვს არჩევანის თავისუფლება. ის, რაც ჩვენი საკუთრებაა, ჩვენვე უნდა დავიცვათ, რომ არავინ წაგვართვას. საკუთარ ბედზე ჩვენ ვართ პასუხისმგებელი. სახელმწიფო მხოლოდ ისეთი გვჭირდება, რომელიც ჩვენი პასუხისმგებლობით საკუთარი ცხოვრების შექმნაში ხელს არ შეგვიშლის. მთავრობაც ისეთი უნდა ავირჩიოთ, რომელიც იმას გაგვიკეთებს რასაც ჩვენ ცალ-ცალკე ვერ შევძლებთ. ამისთვის ვიხდით ბიუჯეტში. ეს ფული ჩვენ ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენი შემოსავლიდან თუ მონაგარიდან რაღაცას ვთმობთ. მაგრამ ხარკს კი არ ვიხდით, არამედ მივსდევთ ამ ფულს და ვაკვირდებით: არის კი ეს ის მთავრობა, რომელიც ამ ფულს ჩემი და ჩემი საზოგადოების საჭიროებების ადეკვატურად ხარჯავს. იქნებ, ეს ფული მე რომ დამრჩენოდა, საკუთარი თავისთვის უფრო მეტი გამეკეთებინა? ამასთან, უარს ვაცხადებთ მთავრობის ისეთ "კეთილ ნებაზე", რომელიც ჩემს საქმეში ჩარევას გულისხმობს, იმატომ, რომ ასეთ "ჩარევას" ჩემთვის ხეირი არასდროს მოუტანია. თუ მთავრობამ არ გამიმართლა, მაშინ ახალი უნდა ავირჩიო. მაგრამ მთავრობა ხომ შორს არის, არ ვიცნობ, მას უამრავი საქვეყნო საკითხი აქვს გადასაჭრელი, ნაკლებად ხედავს და ნაკლებად აღელვებს ჩემი სოფლისა თუ ქალაქის პრობლემები. მაშინ რა ვქნა? იქნებ ჩემს სოფელში და ჩემს ქალაქში, აქ მცხოვრები ხალხისგან შეიქმნას პატარა მთავრობა, რომელსაც აქაური საჭიროებანი უკეთ ესმის? იქნებ იმ საკითხების უმრავლესობის გადაჭრა, მე რომ თბილისიდან ველი, სწორედ ჩემს დასახლებაში, ჩემ მიერ არჩეულმა პატარა მთავრობამ მოახერხოს? ასეთ პატარა მთავრობაში მეცოდინება, ვინ-ვინ არის, მის საქმიანობას დავაკვირდები, ჩავერევი, მონაწილეობას მივიღებ მის საქმიანობაში და თუ მაინც არ გამიმართლა, სახლშიც ადვილად გავუშვებ. თორემ ცენტრალურ ხელისუფლებას ჩემი ქალაქის და სოფლის პრობლემების მოგვარებამდე უამრავი სხვა საკითხი აქვს მოსაგვარებელი. ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ქვეყანა ჩვენგან იწყება. ავდგეთ და ვუთხრათ დიდ მთავრობას - შენ საქვეყნო საქმე აკეთე, რომელიც შენთვისაც დიდი საქმეა და ჩემთვისაც. ხოლო ისეთი საქმე, რომელიც შენთვის პატარაა, ჩემთვის კი - ძალიან დიდი (მაგალითად, ჩემი სოფლის გზა, სასმელი წყალი ჩემს პატარა ქალაქში, ჩემი ბაღის მოსარწყავი სისტემა და ა.შ.), მოდი, აქ ჩემს მიერ არჩეულ პატარა მთავრობას მიანდე. **ილია ამბობდა: "მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თავისნი ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვლად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას (დეცენტრალიზაცია) უწოდებენ... ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს."**

ყოველივე ზეთქმული საშუალებას გვაძლევს, დავსახოთ ის ამოცანები, რომლის შესრულების გარეშე ამ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ:

1. სახელმწიფო მკვეთრად გაემიჯნოს ეკონომიკას და კერძო პირების საქმიანობას. ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს იმაში, რისი გადაწყვეტაც კერძო პირებს დამოუკიდებლად შეუძლიათ;

2. მთავრობამ თავისი საქმე უნდა გაიკეთოს კარგად, ანუ საზოგადოების საჭიროებების ადეკვატურად. ერთი ან რამდენიმე ლიდერი, თუნდაც გენიოსი, ამას ვერ შეძლებს. აუცილებელია მართვის სისტემა, რომელიც ხალხისგან მინიჭებული ძალაუფლების ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად დაბალანსებული გადანაწილების პრინციპს დაეფუძნება.

ამ წერილში ჩვენ ხელისუფლების ვერტიკალურ გადანაწილებაზე, ანუ თვითმმართველობის სისტემაზე და დეცენტრალიზაციაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან მიგვაჩნია - ნორმალური სახელმწიფოს შენება ქვემოდან იწყება.

თვითმმართველობა

"თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს... ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს," - ამას, ჯერ კიდევ საუკუნის წინ, ილია ჭავჭავაძე წერდა.

ახლა, ჩვენ რაში გვჭირდება თვიმმართველობა:

ჩემი ქალაქისა და სოფლის პრობლემები არავინ იცის აქ მაცხოვრებლებზე უკეთესად, თვითმმართველობა იმისთვის მინდა, რომ ჩემს ქალაქსა და სოფელში ყველა ის პრობლემა მომიგვაროს, რომელიც აქ ჩვენი პატარა საზოგადოებისთვის საერთოა;

ჩემ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ცენტრალურთან შედარებით, გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ექნება ჩემი და ჩემი თანაქალაქელებისა თუ თანასოფლელების მიმართ;

ჩემ მიერ გადახდილი გადასახადები, უპირველეს ყოვლისა, ჩემი პრობლემების გადაჭრას მოხმარდება;

ჩემი ქვეყანა ბუნებრივად კუთხეებად რომ არის დაყოფილი და ჩემს მხარესაც ჰქონდეს თვითმმართველობა, რადგან ზოგ საკითხს ჩემი ქალაქის და სოფლის თვითმმართველობა ვერ მომიგვარებს, ამისთვის ის ძალიან ნაზად და შესაბამისი რესურსები არ გააჩნია. ცენტრალური ხელისუფლება კი ამ საკითხებიდან შორს არის. ამიტომ, ჩემს მხარეშიც მინდა თვითმმართველობა, ანუ ისეთი ხელისუფლება რომელიც, პირველ რიგში, ჩემს წინაშე იქნება პასუხისმგებელი და ჩემი სოფლისა თუ ქალაქის პრობლემებზე იზრუნებს;

ჩემი ქვეყნის ორი ლამაზი კუთხე - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი მოწყვეტილია, მათი დაბრუნებისთვის მე უნდა მივცე მაგალითი იქ მაცხოვრებელ თანამოქალაქეებს, რომ დანარჩენ საქართველოში მოქალაქეებს თვითონ, სხვის ჩაურევლად, ადგილებზე შეუძლიათ მათთვის საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრა.

ადამიანებს, რომლებმაც ეს ქვეყანა უნდა მართონ, ჯერ ჩემს ქალაქსა თუ სოფელში ვაკვირდები, მერე - ჩემს მხარეში, და მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთებ არჩევანს მასზე, რათა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი გახდეს და საქვეყნო საქმეები მოაგვაროს.

განა ყოველივე ეს ცოტაა, იმისთვის რათა ავდგეთ და ყველამ მკაფიოდ განვაცხადოთ - **მოგვეცით ჩვენ თვითმმართველობა!** ამ 15 წლის მანძილზე არც ერთმა მთავრობამ ეს არ გააკეთა. "ვარდების ხელისუფლებაც", რომელიც რეფორმების გატარების ლოზუნგებით მოვიდა, არ აპირებს ამას და წინა ხელისუფლებების მსგავსად გვეუბნება: მე არ მაინტერესებს, შეძლებ თუ არა მკაფიოდ დაინახო, თუ რაში იხარჯება და რაში გადგება შენს მიერ გადახდილი გადასახადები; შენს სოფელსა თუ ქალაქში სხვებისაგან განსხვავებული საჭიროებები მას ვამართინებ შენს ქალაქსა თუ სოფელს; აფხაზეთს და სამაჩაბლოს ტანჯვების შეძენით და ჩემი სამხედრო ძალით უფრო დავიბრუნებ, ვიდრე საქართველოს მოქალაქეებისათვის თავისუფალი განვითარების საშუალების მინიჭების ნათელი მაგალითის დანახვებით.

ახლა - საქმეზე

გასული წლის ზაფხულში, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებითა და მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა "ეფექტიანი მმართველობითი სისტემისა და ქალაქებში დღეს არსებული 1000-მდე თვითმმართველობა გავაუქმოთ და იგი მხოლოდ საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილ რაიონში განვახორციელოთ. ძალიან დიდი პრეტენზიები რომ არ შეიქმნას, მოდი, ზოგიერთ ქალაქს მივცეთ საშუალება, ამ რაიონს გამოეყოს და ცალკე თვითმართველობად ჩამოყალიბდეს. ამრიგად, გვექნება რამდენიმე ქალაქის და რაიონების თვითმმართველობა, ზოგი - ქალაქით, ზოგიც - მის გარეშე. ფაქტობრივ უზუსტობად რომ არ ჩაგვითვალონ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სიტყვა "რაიონი" აღარ ფიგურირებს და ამ რაიონებს "თემი" ერქმევა. ანუ საქართველოში გვექნება მაქსიმუმ 100 თვითმმართველობა. ასევე გათვალისწინებულია ამ თვითმმართველობებში საკრებულოს არჩევა და გემგებლების/მერების არაპირდაპირი არჩევა საკრებულოს მიერ. მხარეში კი გვექნება სახელმწიფო მმართველობა ანუ ისევ პრეზიდენტის მიერ დანიშნული, ამჯერად უკვე, "გუბერნატორი", რომელიც სახელმწიფო ფუნქციებს შეასრულებს. მხარეს ბიუჯეტის მაგვრად ექნება სამხარეო ფონდი, რომელსაც გუბერნატორი თვითონ განკარგავს ყოველგვარი წარმომადგენლობითი ორგანოს გარეშე. ამასთან, ყალიბდება თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საკმაოდ ხისტი სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა. მოქალაქეთა მონაწილეობის კანონპროექტშიც საერთო სულისკვეთება კარგად დღევანდელი რაიონების მასშტაბით თვითმმართველი ერთეულების ჩამოყალიბება მრავალ წინააღმდეგობას ქმნის. მათ შორის აღსანიშნავია:

იქმნება მცირე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლობის დიდი საფრთხე;

ვიღებთ თვითმმართველობის ერთეულს ურბანისტული ცენტრით და გარშემო სოფლებით, რომლებსაც საკუთარი აგრარული ინტერესები გააჩნიათ. ამ ინტერესებს შორის წინააღმდეგობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლის როგორც ქალაქის, ასევე სოფლის განვითარებას. შესაბამისად, შესუსტდება მცირე ქალაქური ტიპის დასახლებები და, მით უმეტეს, ურბანიზაციის პროცესები;

თვითმმართველობის გეოგრაფიული მასშტაბები იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ ვერ იქნება უზრუნველყოფილი თვითმმართველობის ის სიკეთეები, როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლების სიახლოვე და მოსახლეობის მხრიდან მისი ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა, მოქალაქეთა მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კორუფციის საფრთხეს.

დიდია საფრთხე, რომ თვითმმართველობის ერთეულის მასშტაბიდან გამომდინარე, სამეურნეო-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრის ფუნქციის ნაცვლად, ადგილობრივმა არჩევითმა ორგანოებმა, ძირითადად, პოლიტიკური დატვირთვა შეიძინოს;

რაიონულ პრინციპზე მორგებული კლანური სისტემებისთვის ეს კიდევ ერთი საყრდენი იქნება;

თითოეულ რაიონის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია არაერთგვაროვანი ზონები: მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით ისტორიულად ჩამოყალიბებული თემები, მაღალმთიანი თუ ბარის ტერიტორიები; განსხვავებული ინფრასტრუქტურა და ა.შ. თვითმმართველობის მთავარი მახასიათებელი - თვითმმართველობის ორგანოთა მიერ ადგილობრივ მოსახლეობის მოთხოვნების და საჭიროებების ადეკვატური მართვა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად გართულდება;

ეს მიდგომა უებარი საშუალებაა სოფლების, განსაკუთრებით კიკ მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისაგან დაცლის პროცესის გაგრძელებისთვის;

არსებობს სოფლის სინამდვილეში კონკრეტული საკითხები (გზა, ხიდი, წყალი, საირიგაციო სისტემები და ა. შ.), რომელსაც მხოლოდ სოფლის და, უფრო მეტიც, სოფლის ერთი უბნის მნიშვნელობა გააჩნია. სოფელში თვითმმართველობის არსებობისას ამ პრობლემათა გადაჭრა ადგილობრივი ორგანოების უმთავრესი ფუნქცია იქნება, რაიონის შემთხვევაში კი მათი მოგვარება კვლავ მრავალი წლით გადაიწევს.

ასეთი რეფორმის განხორციელების მოჩვენებითი ტექნიკური სიიოლე და რაიონების შედარებით დიდი ეკონომიკური რესურსები ნამდვილად ვერ გადანონის იმ უარყოფით შედეგებს, რასაც ასეთი მასშტაბის თვითმმართველობის ჩამოყალიბებით მივიღებთ.

სამხარეო დონეზე სახელწიფო მმართველობის დაკანონება კი პირდაპირი განაცხადია, რომ სახელმწიფოში არსებული ფინანსური და უფლებრივი რესურსების უდიდესი ნაწილი პრეზიდენტის ხელში რჩება, რაც სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელ ადმინისტრაციულ და პოლიტიკური დეცენტრალიზაციას გამორიცხავს. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად შეასუსტებს ქვეყნის პოზიციებს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე პირდაპირ არჩევნებზე უარის თქმა, უფრო მეტად, თვითმმართველობის შესუსტებისაკენ არის მიმართული, ვიდრე მართვის ოპტიმიზაციისკენ.

ის, რომ წარმოდგენილი კანონპროექტებით იქმნება სამხარეო ფონდი მხარეში წარმომადგენლობითი ორგანოს გარეშე, აბსოლუტურად ეწინააღმდეგება პრინციპს, რის გამოც, საერთოდ, წარმომადგენლობითი ორგანოები ისტორიულად შეიქმნა – გადასახადების დაწესება და ბიუჯეტის მართვა.

ამასთან, გაუგებარია, როცა ხელისუფლებას ჯერ არც ტერიტორიული მოწყობა შემოუთავაზებია, არც კომპეტენციებისა და ფინანსური რესურსების გამიჯვნა, ის უკვე გვთავაზობს თვითმმართველობაზე ზედამხედველობის, თანხების განაწილების სისტემებსა და სხვა საკითხებს, რაც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

მთლიანობაში, ძალზედ სამწუხაროა, რომ თვითმმართველობის ავკარგიანი 7-წლიანი გამოცდილების შემდეგ ხელისუფლებამ ასეთი საკანონმდებლო პაკეტი შემოგვთავაზა. ჯერ კიდევ ილია ამბობდა: "თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო - საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო... ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეული და დაყენებული ჩვენთვის არავითარ შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს."

როგორც ჩანს, ეს ხელისუფლებაც ფიქრობს, რომ:

"ჯერ კიდევ არ ვართ მზად," – როგორც ჩანს, ხელისუფლების აზრით, პრეზიდენტისა და პარლამენტის ასარჩევად მზად ვართ, მაგრამ მერისა და სოფლის თავის - არა; ასე ვერც ვერასოდეს ვიქნებით "მზად";

"ჯერ ფინანსური პრობლემები მოვაგვაროთ და მერე," – არადა, სწორედ კარგი (ანუ ეფექტური და მოსახლეობის მოთხოვნების ადეკვატური) მართვაა ფინანსური პრობლემების მოგვარების საშუალება;

"ჯერ ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ," – როცა ჩვენ ხალხს არ ვანდობთ საკუთარი ბედის გადაწყვეტას, მით უმეტეს ვერაფრით ავუხსნით განდგომილი ტერიტორიების მოსახლეობას, თუ რა უფლებებს გავიმეტებთ მათთვის.

"ჯერ მათ ცოდნა არა აქვთ," – ცენტრალურ ხელიუფლებაში და მათ მიერ ხელდასმულ ადგილობრივ მლიქვნელ მოხელეებში რა ცოდნაცაა თავმოყრილი, ეს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობიდანაც კარგად ჩანს. "თვითმმართველობის საქმრად ეს კი უნდა ვთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი." (ილია ჭავჭავაძე)

საბოლოო სიტყვა საზოგადოებაზეა. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა განვაცხადოთ: - ნუღარ დაგვიძახებთ თქვენს ასარჩევად, ნუღარ დაგვიძახებთ თქვენს მხარდასაჭერად, ნუღარ დაგვიძახებთ თქვენს დასაცავად. მოგვეცით საშუალება, არ ველოდოთ კეთილ ძიასა თუ კეთილ ბელადს და ჩვენ თვითონ შევქმნათ ჩვენს სოფელსა თუ ქალაქში, ჩვენს სამეზობლოსთან ერთად, ჩვენი სამყოფელი. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში წერდა ილია ჭავჭავაძე: "რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი თვითმმართველობის უცილო კუთვნილებაა. თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველი შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმანაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისი ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია".

P. S. სამწუხაროდ, პრეზიდენტთან არსებულმა **"ეფექტიანი მმართველობითი სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისიამ",** ყოველგვარი განხილვის გარეშე, საფუძვლად პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის ნიაღში მომზადებული კანონპროექტები აიღო. ამ კომისიამ არც ერთი სხვა დოკუმენტი განხილვის ღირსადაც კი არ ჩათვალა. ამის გამო ეს კომისია მე და ევროპის საბჭოს ექსპერტმა თვითმმართველობის საკითხებში, ბატონმა დავით ლოსაბერიძემ (მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი) პროტესტის ნიშნად დავტოვეთ.

ბიზნესმენები "ათასწლეულის გამოწვევის" პროექტს დეტალურად გაეცნობიან

"ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ("ემ-სი-ჯი") აღმასრულებელი დირექტორი ლაშა შანიძე დღეს, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში პროექტის პრეზენტაციას გამართავს.

შანიძე ბიზნესმენებს "ათასწლეულის გამოწვევის" პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას წარუდგენს. იგი ისაუბრებს საკონსულტაციო კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელიც "ემ-სი-ჯი"-ს პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით საკუთარ რეკომენდაციებს წარუდგენს.

რვა წევრისგან დაკომპლექტებულ საკონსულტაციო კომიტეტში არასამთავრობო სექტორის - სამი, ბიზნესის – 2 და მთავრობის - 3 წარმომადგენელი შევა. იმ კომისიას კი, რომელიც საკონსულტაციო კომიტეტის 2 ბიზნეს-წარმომადგენელს შეარჩევს, ბიზნესმენთა ფედერაციის წევრებიც დააკომპლექტებენ. კომისიის წევრებს ხვალ, ბიზნესმენთა ფედერაციაში დაგეგმილ შეხვედრაზე შეარჩევენ.

"ემ-სი-ჯი"-მ არასამთავრობო ორგანიზაციების შესარჩევად კონკურსი აგვისტოში გამოაცხადა. განცხადებების მიღება 16 სექტემბრამდე გაგრძელდება, ორგანიზაციებს კი სექტემბრის ბოლოს სპეცი

ენერგოსექტორის მონიტორინგი

გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში **economics@24hours.ge** *(tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე* **energy@ecm.ge**, *ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე* **maya_u@gol.ge**.

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

სგსე-ში პირობას დებენ, რომ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 70 პროცენტამდე გაიზრდება

მას შემდეგ, რაც კომუნალური გამრიცხველიანების პროგრამა სოციალური უკმაყოფილების ერთ-ერთ სერიოზულ ფაქტორად იქცა, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" ელექტროენერგიის ტარიფის სავარაუდო ზრდაზე მიანიშნებენ. საქმე ის გახლავთ, რომ კომპანიაში შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს კომუნალური გამრიცხველიანების პროცესის გარშემო ატეხილ სკანდალებს და აცხადებენ, რომ კომუნალური გამრიცხველიანება მომხმარებლისთვის ბევრად უფრო მომგებიანია. "ინდივიდუალური გამრიცხველიანების შემთხვევაში ელექტროენერგიის ტარიფი საგრძნობლად გაიზრდება," – აკონკრეტებენ კომპანიაში.

შეგახსენებთ, რომ კომუნალურმა გამრიცხველიანებამ მომხმარებლის ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ახალციხეში ოცმა მომხმარებელმა კომპანიას სასამართლოშიც კი უჩივლა და პროცესი მოუგო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ გამრიცხველიანების პროცესის მონიტორინგი სემეკმა თავად იკისრა და სგსე დაავალდებულა, კომუნალურ გამრიცხველიანებაში არსებული ხარვეზები 15 ოქტომბრამდე გამოასწოროს. "15 ოქტომბრამდე კომპანიამ კომისიას დარღვევების გამოსწორების შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს. კომისია არ აპირებს, მხოლოდ კომპანიის ანგარიშით იხელმძღვანელოს და საკუთარი მონიტორინგის საფუძველზე პარალელურ დასკვნას შეიმუშავებს," - განაცხადეს სემეკში.

რაც შეეხება ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესს, კომპანიის მონაცემებით, საქართველოს რეგიონების ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2006 წლის ზაფხულში უნდა დასრულდეს. სგსე-ში უკვე შემუშავებულია ინდივიდუალური გამრიცხველიანების გეგმა და საქართველოს მთავრობასთან ერთად შერჩეულია ის დასახლებები, სადაც ინდივიდუალური გამრიცხველიანება განხორციელდება.

ინდივიდუალური მრიცხველები დამონტაჟდება სოფელ დიღომში, ზაჰესში, მცხეთაში, ყინვალაში, დუშეთში, ზუგდიდში, ფოთში, წალენჯიხაში, ქუთაისში, სამტრედიაში, ზესტაფონში, საჩხერეში, ოზურგეთში, ახალციხესა და გორში. დამატებით, ადგილობრივი მთავრობების დახმარებით, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ბორჯომსა და ბოლნისშიც განახორციელებს. საქართველოს მთავრობისა და სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამით, მინიმუმ, 100 ათასი მომხმარებელი ისარგებლებს, ხოლო ადგილობრივი მთავრობების პროგრამა ინდივიდუალური მრიცხველებით 8000 მომხმარებელს უზრუნველყოფს.

აქვე, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აცხადებენ, რომ მალე, ანუ გამრიცხველიანების პროცესის პარალელურად, ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 70 პროცენტამდე გაიზრდება. "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ცნობით, კომუნალურმა გამრიცხველიანებამ გაამართლა: "თანხების ამოღება მაისიდან (4,159 ათასი ლარი) გაიზარდა ივლისამდე (5,859 ათასი ლარი), რაც დღევანდელ დღემდე არნახული შედეგია. თანხის ამოღების პროცენტულობამ მოიმატა მაისის 34 პროცენტიდან ივლისის 59 პროცენტამდე. აგვისტოში კი კომპანიამ არნახულ შედეგებს მიაღწია. აგვისტოს თვის ამოღების მაჩვენებელი არსებობის განმავლობაში ყველაზე შთამბეჭდავია. ამ მონაცემებით, აგვისტოში ენერგოკომპანიამ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების 73 პროცენტის მობილიზება შეძლო, ხოლო ნაღდი ფულის ამოღებამ 7 მილიონ ლარს გადააჭარბა. შედარებისთვის, ამოღების პროცენტი 2003 წლის აგვსტოში მხოლოდ 27 პროცენტი იყო. ყოველთვიური მოხმარება შემცირდა 160 მილიონი კილოვატ/საათიდან 130 მილიონ კილოვატ/საათამდე, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსახლეობას თითქმის 24-საათიანი ენერგომომარაგება აქვს," - განაცხადეს კომპანიაში.

ახლა "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ადმინისტრაცია მომხმარებელს მოუნოდებს, რაიმე გაუგებრობის ან პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში უშუალოდ კომპანიას მიმართონ. "პრობლემის გადასაჭრელად ეს ბევრად უფრო იაფი, ეფექტური და დაჩქარებული გზა იქნება," - აღნიშნავენ კომპანიაში და პირობას დებენ, რომ გამრიცხველიანების პროცესის წარმატების შემთხვევაში, ენერგოკომპანიაში გადამხდელ მომხმარებლებს 24-საათიანი ელექტრომომარაგება ექნება. "სგსე, ენერგეტიკის სამინისტროს დახმარებით, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ 24-საათიანი ელ. მომარაგება გადამხდელი მომხმარებლებისთვის ზამთრის განმავლობაშიც უზრუნველყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენი მიზანია, ზამთრის განმავლობაში არ იყოს გრაფიკები," – აცხადებენ კომპანიაში და დასძენენ, რომ კომუნალური გამრიცხველიანება სავსებით ლეგალურია: "სემეკ-ის დადგენილება დარეგისტრირებულ იქნა იუსტიციის სამინისტროს მიერ და სგსე სწორედ ამ დადგენილების მიხედვით მოქმედებს," – აკონკრეტებენ სგსე-ში.



მოკლედ

ამერიკიდან ჩამოტანილ ახალ გაზოტურბინებს საქართველოში ამერიკელი სპეციალისტები დაამონტაჟებენ

ამერიკიდან ჩამოტანილ ახალ გაზოტურბინებს საქართველოში ამერიკელი სპეციალისტები დაამონტაჟებენ.

როგორც კომპანია "ენერჯი ინვესტის" პრეზიდენტმა გენადი მალაზონიამ განაცხადა, ახალი გაზოტურბინები, რომელმაც საქართველოს ენერგოსისტემას დამატებით 110 მეგავატის სიმძლავრე უნდა შესძინოს, ამერიკიდან საქართველოში სექტემბერის მეორე ნახევარში ჩამოვა.

"ამჟამად "თბილსრესის" ტერიტორიაზე გაზოტურბინის დასამონტაჟებად საჭირო საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს, გაზოტურბინების დასადგმელად უნდა გაკეთდეს ფუნდამენტი,"- აღნიშნა მალაზონიამ.

მისი თქმით, "გაზოტურბინების" დამონტაჟებას ამერიკელი სპეციალისტები განახორციელებენ. სამონტაჟო სამუშაოები დეკემბრის ბოლოს დასრულდება. გაზოტურბინების ექსპლუატაციაში გაშვებაც ამ დროსითვის იგეგმება.

"გაზოტურბინისათვის აუცილებელი ბუნებრივი აირის შეძენაზე "გაზპრომში" განაცხადი უკვე გაკეთებულია. ამის პარალელურად "ენერჯი ინვესტი" გაზის ყაზახეთიდან შესყიდვის საკითხზეც მუშაობს. "შაჰდენიზის" გაზსადენის ამოქმედების შემდეგ კი კომპანია ბუნებრივი აირის შესყიდვისთვის ამ წყაროს გამოიყენებს,"- განაცხადა მალაზონიამ.

55 მეგავატის სიმძლავრის ორმა გაზოტურბინამ მთელი წლის განმავლობაში რომ იმუშაოს, 300 მლნ. კუბური მეტრი ბუნებრივი აირია საჭირო. თუ ზაფხულობით საქართველოში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა არ იქნება, გამომუშავებულ ელექტროენერგიას "ენერჯი ინვესტი" თურქეთში, ან აზერბაიჯანში გაყიდის.

"ენერჯი ინვესტი" "თბილსრესის" ტერიტორიაზე ამერიკული კომპანია "პრეთ ენდ ვითენსი" გაზოტურბინას დაამონტაჟებს. "ენერჯი ინვესტის" მიერ გამომუშავებული 1 კილოვატსაათი ელექტროენერგია სავარაუდოდ, 3,5 ცენტრი ეღირება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ამის შესახებ ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ სამონტაჟო სამუშაობის დასრულების შემდეგ უნდა მიიღოს.

ინტერპრესნიუსი

კომუნალური მრიცხველების თემა კვლავ აქტუალურია

ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი მთავრობას საკითხის გადაწყვეტის ახალ ხერხს სთავაზობს

კომუნალური მრიცხველების სამართლიანობა-უსამართლობის შესახებ საუბარი არ წყდება. მოსახლეობა, რომელსაც ამ მრიცხველების გამო ელექტრომომარაგების პრობლემები შეექმნა, პროტესტის გამოხატვას არ წყვეტს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" კი, რომელმაც ამ მრიცხველების წყალობით, როგორც იქნა, თანხების ამოღების მაჩვენებლებს ზრდის ტენდენციისკენ უბიძგა, საზოგადოებას დროს სთხოვს და ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამის დასრულების ვადად, რის შედეგადაც, ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემა უნდა მოგვარდეს, 2006 წლის ზაფხულს ასახელებს.

მიუხედავად ამისა, კითხვები ბევრია. კერძოდ, ეყოფა თუ არა დონორების მიერ გამოყოფილი სახსრები იმ მოცულობის სამუშაოების ჩატარებას, რაც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" არეალში მოქცეული, გეოგრაფიულად რთული და ტევადი რეგიონების მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ეყოფა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობისა და სგსე-ს ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა 110.000 მომხმარებელს შეეხება, ხოლო სგსე-სა და ადგილობრივი მთავრობების პროგრამა - დამატებით 8.000 მომხმარებელს. რა ბედი ელის მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის.

შედეგად, დღეს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ისევ კომუნალური გამრიცხველიანების თემას უბრუნდება და გთავაზობთ როგორც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გამრიცხველიანების გეგმებს, ისე ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის მიერ მთავრობისა და ენერგოკომპანიისთვის შეთავაზებულ ახალ წინადადებას, რომელიც, შესაძლოა, მისაღები აღმოჩნდეს როგორც დონორების, ისე საქართველოს ხელისუფლებისთვის.

კერძოდ, ებრალიძე მიიჩნევს, რომ კომუნალური მრიცხველებით გადასახადების ამოღება მეტად არასამართლიანი და, იმავდროულად, არაკანონიერია. **"არ შეიძლება აღნიშნული პროექტის წარმატებაზე საუბარი მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ამ ხერხით ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი გაუმჯობესდა, რის და ვის ხარჯზე ხდება ამოღების გაუჯობესება ეს არ უნდა გვაინტერესებდეს? ამაზე პასუხი ცალსახაა: უსამართლობის და უკანონობის. აბონენტთა უმრავლესობა, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, იმაზე გაცილებით მეტს იხდის, ვიდრე ხარჯავს და, ხშირად, დენი მაინც არ მიეწოდება,"** – აცხადებს ებრალიძე. მისი თქმით, კომუნალური გამრიცხველიანების მომხრეები ალტერნატივას ვერ ხედავენ, ამ დროს კი ალტერნატივა - პროცესების კანონიერების ფარგლებში მოთავსება და მომხმარებლებთან კონსენსუსის მიღწევაა. **"სწორედ ამ მიზნით მივწერე "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა და ენერგეტიკის სამინისტროს წერილი, რომელსაც თქვენც გიგზავნით და ვფიქრობ, რომ ეს გზა პრობლემის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის საშუალებას იძლევა,"** – განუცხადა ებრალიძემ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს".

დღეს ამ წერილსაც გთავაზობთ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ბატონ ნიკა გილაურს და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურ დირექტორს ბატონ დინ უაითს

ბატონებო,

როგორც კომპანიისა და ენერგეტიკის სამინისტროს პოზიციიდან ჩანს, კომპანია გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი არ აპირებს სოფლის ტიპის დასახლებებში ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟებას და ერთადერთ ოპტიმალურ ვარიანტად აღნიშნულ ტერიტორიებზე კომუნალურ გადახდის პრინციპს აღიარებს.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნალურ ანგარიშსწორებას თავისი დადებითი მხარე გააჩნია - არ ითხოვს მოცულობით ინვესტიციებს, იგი არასამართლიანია და საცალო გამანაწილებელი მომსახურების პასუხისმგებლობის მომხმარებლებზე გადატანას გულისხმობს.

არსებული სიტუაციიდან სწორი და სამართლიანი გამოსავალი იქნება, თუ ასეთ ტერიტორიებზე კომპანიას ჩამოცილდება ენერგიის საცალო მიწოდების ფუნქცია და იგი მხოლოდ საბითუმო მიწოდების ოპერატორი გახდება. მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორის შემდგომი დაბალი ძაბვის გამანაწილებელი ქსელი კი კომუნას კოლექტიურ, კოოპერაციულ საკუთრებაში გადაეცემა. ამით, ერთი მხრივ, კომპანიას ჩამოსცილდება ის პასუხისმგებლობა, რასაც იგი რეალურად ვერ ართმევს თავს და პერსპექტივაშიც უძლურია თავი გაართვას. მეორე მხრივ, მოსახლეთა კომუნას გაუჩნდება მეპატრონის შეგრძნება და პასუხისმგებლობა, თვითონ მოანესრიგოს კომუნის შიდა აღრიცხვა-ანგარიშგება. შედეგად, აღნიშნული მომხმარებლები სამართლებრივადაც ვეღარ მოითხოვენ კომპანიისაგან ინდივიდუალურ მომსახურებას. ასეთ ტერიტორიებზე კომპანია ენერგიის მხოლოდ საბითუმო მიმწოდებელი გახდება.

ვფიქრობ, ეს ერთადერთი შესაძლო გამოსავალია კომუნალური გადახდის შექმნილი მექანიზმის არასამართლებრივი მდგომარეობიდან.

მომხმარებელთა აღნიშნული კოოპერატივების შექმნის პარალელურად, იმისათვის, რომ კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას ხელი არ შეეშალოს, სწორი არ იქნება, თუ 110-35 კვტ-იანი გადამცემი ხაზები კომპანიის საკუთრებაში გადავა.

გთხოვთ აღნიშნული მიდგომისადმი თქვენი პოზიციის გამოხატვას.

ენერგოსექტორის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე

მარეგულირებლები, შესაძლოა, სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავიდნენ

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ გზით ისინი დამოუკიდებლობას დაკარგავენ, მეორე ნაწილი კი დერეგულირების ამ მეთოდით კმაყოფილია

მთავრობის მიერ მომზადებულია კანონპროექტი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების რეფორმას ითვალისწინებს. რეფორმის პირველი ნაბიჯი იქნება ის ფაქტი, რომ მალე საქართველოში არსებული ხუთი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოდან უახლოეს მომავალში მხოლოდ ორი დარჩება - ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია და კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია. რიგი ექსპერტები ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის დაკარგვას უარყოფითად აფასებენ და აცხადებენ, რომ ინვესტორები ნაკლებად შემოვლენ ქვეყანაში, სადაც ბუნებრივ მონოპოლიებზე პოლიტიკური ზეწოლა არსებობს. ექსპერტთა სხვა ნაწილი კი ამ ნაბიჯს დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ეს სექტორის დერეგულირებისაკენ გადადგმული ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯია...

ხვალ სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე მთავრობის წევრებს მარეგულირებელ კომისიებთან დაკავშირებულ ცვლილებებს წარუდგენს. მოწონების შემთხვევაში, პროექტი პარლამენტს განსახილველად ხვალვე გადაეგზავნება.

რას მივიღებთ? კახა ბენდუქიძის ინიციატივით, არსებული ხუთიდან მხოლოდ ორი მარეგულირებელი ორგანო - ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია და კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისია უნდა დარჩეს, ტრანსპორტის მარეგულირებლები, კი გაერთიანდებიან და ტრანსპორტის ერთიანი ადმინისტრაცია შეიქმნება, რომელსაც მხოლოდ ტექნიკური მარეგულირებლის ფუნქცია ექნება. ამასთან, იცვლება მარეგულირებლების დაფინანსების მექანიზმიც. კერძოდ, მარეგულირებლებს რეგულირების მოსაკრებელი აღარ ერგებათ და ისინი მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე გადავლენ. სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკას მარეგულირებლების შენახვა 15 მილიონი ლარი უჯდება. როგორც ბენდუქიძე ამბობს, კანონის მიღების შემდეგ მარეგულირებელი ორგანოების შენახვა, რადგან ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან, სავარაუდოდ, წელიწადში 2-3 მილიონი ლარი დაჯდება.

"თუ რეგულირების საფასურს გავაუქმებთ, ახლა რა თანხაც რეგულირების საფასურის სახით იკრიბება, ეკონომიკაშივე დარჩება," - განაცხადა ბენდუქიძემ.

სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შემოწმებას კონტროლის პალატა განახორციელებს, რაც დღემდე არ ხდებოდა. ცვლილებები შეეხება კომისიის წევრების მუშაობის ხანგრძლივობასაც - კომისიის თავმჯდომარე მხოლოდ ერთი ვადით იქნება არჩეული.

რას მოიტანს ეს ყველაფერი?

სემეკ-ის ყოფილ თავმჯდომარეს, ამჟამად კი დამოუკიდებელ ექსპერტ-ენერგეტიკოს ელიზბარ ერისთავს მიაჩნია, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის დაკარგვა უარყოფითად იმოქმედებს საინვესტიციო გარემოზე, რადგან **"ინვესტორები ნაკლებად მოვლენ ქვეყანაში, სადაც ბუნებრივ მონოპოლიებზე პოლიტიკური ზეწოლა არსებობს. თავის დროზე, 1997 წელს ახალგაზრდა რეფორმატორებმა კარგი გზა აირჩიეს, როცა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები შემოიტანეს. დღეს აღმასრულებელ ხელისუფლებას ისედაც დიდი ძალაუფლება გააჩნია,"** – აცხადებს ერისთავი.

დამოუკიდებელი ექსპერტის - თემურ გოჩიტაშვილისთვისაც ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის დაკარგვა ნიშნავს, რომ ის მთავრობის დავალების ბრმა შემსრულებლად იქცევა. **"ეს ინვესტორებისთვის მისაღები არ იქნება. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ინვესტორისთვის არის გარანტია, რომ მას საქმე აქვს დამოუკიდებელთან და არა მთავრობასთან,"** – აცხადებს ექსპერტი.

ინსტიტუტ "ჰიდროპროექტის" დირექტორი, ენერგეტიკის ექსპერტი ანზორ ჭითანავა მთავრობის ასეთ გადაწყვეტილებას დერეგულაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს. **"სახელმწიფო საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებაზე თუ ფიქრობს, მაშინ ეს კომისიები მისგან რაც შეიძლება თავისუფალი უნდა იყოს,"** – დასძენს ის.

ეკონომისტი პაატა შეშელიძე კი ყველა კომისიის გაუქმების მომხრეა. **"ენერგოგენერაცია თავისუფალი ბაზრის საგანი უნდა იყოს, დამატებითი შუამავლის რგოლი სრულიად ზედმეტია. ამასთან, ეს ფუქსავატური ორგანიზაცია ძალიან დიდ ხარჯებს ითხოვს. ის გამოიყენება პოლიტიკური ზეწოლის და მანიპულაციებისთვის,"** – აცხადებს შეშელიძე. ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის "დამოუკიდებლობის წართმევაში" ეკონომისტი დიდ განსხვავებას ვერ ხედავს. **"ეს ბევრს არაფერს მოიტანს. პირიქით, ერთი ჯგუფის ხელიდან მეორე ჯგუფის ხელში გადავა. არ მესმის, ახლა რატომ არ ითვლება კომისია სახელმწიფოს დაქვემდებარებაში. მისი ნებისმიერი წევრი ისედაც სახელმწიფოს მიერ ინიშნება და მთავრობის მიერ შემუშავებული დოკუმენტით ხელმძღვანელობს,"** – აცხადებს პაატა შეშელიძე.

ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი დავით ებრალიძე სხვა ექსპერტებთან შედარებით უფრო რადიკალურია და აცხადებს, რომ მარეგულირებლების ინსტიტუტი საქართველოში თავიდანვე არასრულფასოვნად იქნა დამკვიდრებული. **"ენერგეტიკას და, მათ შორის, მარეგულირებლებს სერიოზული რეფორმირება სჭირდება. მარეგულირებლების ინსტიტუტი ქვეყანაში თავიდანვე არასრულფასოვნად დამკვიდრდა და ეს გარკვეული კერძო ინტერესების გამო მოხდა. უმჯობესი იქნება, თუ საერთაშორისო პრაქტიკას გავითვალისწინებთ და მას ჩვენს რეალობას ჭკვიანურად მივუსადაგებთ,"** – აცხადებს დავით ებრალიძე. მისი თქმით, აშშ-ში, საიდანაც მარეგულირებლები გადმოვიღეთ, მარეგულირებლების დაფინანსება შემდეგნაირად ხდება: მიუხედავად იმისა, რომ კომისიის დაფინანსების წყარო ლიცენზიანტთა მოსაკრებელია, საკანონმდებლო ორგანო ამტკიცებს კომისიონერების ხელფასის მოცულობას და კომისიის ბიუჯეტს, კონტროლის პალატა კი კომისიის ხარჯების მიზანშეწონილობას ამოწმებს.

"მე დაფინანსების წყაროზე უფრო დიდ ყურადღებას კომისიის წევრთა დანიშვნის მექანიზმებს ვაქცევ, - აცხადებს ებრალიძე, - **არსებული მოდელი სრულიად არაადეკვატურია. მაგალითად, აშშ-ში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური კანდიდატს საკანონმდებლო ხელისუფლების წარდგინებისა და, შემდგომ, დამტკიცების პროცედურით ირჩევს. მიმაჩნია, რომ ეს იმ ვარიანტს, რაც ჩვენს შემთხვევაშია შემოთავაზებული, გაცილებით სჯობს."** ებრალიძის თქმით, კომისიის გადაწყვეტილებები ყველა დაინტერესებულ მხარეში ნდობას უნდა იმსახურებდეს, ეს კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ თავად გადაწყვეტილების მიმღებნი ყველა დაინტერესებული მხარის ნდობით სარგებლობენ.

აქედან გამომდინარე, მისი თქმით, კომისიის წევრის დანიშვნის მექანიზმებს შორის ყველაზე საუკეთესო - არბიტრაჟის პრინციპია, ანუ როცა **"ცალკე ლიცენზიატები ერთად არჩევენ სამ მათთვის მისაღებ კანდიდატს, ცალკე სახალხო დამცველი, საზოგადოებრივი დამცველი და ანტიმონოპოლიური სამსახური კი - ერთად. თუ მათი კანდიდატების ვინაობა ერთმანეთს დაემთხვა, პრეზიდენტს შეუძლია, ისინი ავტომატურად დანიშნოს, თუ არ დაემთხვა – თავად შერჩეულები აირჩევენ სამ საბოლოო კანდიდატს და პრეზიდენტს ამ სახით წარუდგენენ."**

მთავრობა ზამთრისთვის მზადებას იწყებს

"გაზპრომთან" გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალების დასაზუსტებლად და ზამთარში საქართველოს გაზმომარაგების და ფასების რეგულირების საკითხების განსახილველად, დღეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური მოსკოვში, "გაზპრომის" ხელმძღვანელობასთან შესახვედრად გაემგზავრა.

"გაზპრომთან" ურთიერთობის ახალი სტრატეგია სამ პრიორიტეტზე იქნება დაფუძნებული - აცხადებს საქართველოში "გაზექსპორტის" წარმომადგენელი დავით მორჩილაძე. მისი თქმით, **"ხელშეკრულებაში "გაზპრომი" აიღებს ვალდებულებას, რომ კონტრაქტის პირობების შესრულების შემთხვევაში ქართულ მხარეს ბუნებრივ აირს უწყვეტად მიაწვდის. ქართული მხარე კი, სომხეთში გაზის ტრანზიტისა და "გაზექსპორტის" საინვესტიციო აქტივობის ხელშეწყობის ვალდებულებას იკისრებს."**

საქართველოსა და "გაზპრომს" შორის 25-წლიანი თანამშრომლობის პირველი ხელშეკრულება დავით მირცხულავას მინისტრობის დროს, 2003 წელს გაფორმდა. ხელშეკრულების ავტორების თქმით, ახალი ხელშეკრულება, ფაქტობრივად, ძველის გადახედვას ითვალისწინებს, თუმცა მასში ჩადებული შეთანხმებები უფრო კონკრეტული და გამჭვირვალე იქნება. დოკუმენტს ხელი, სავარაუდოდ, წლის ბოლოს უნდა მოეწეროს.

მორჩილაძის თქმით, საქართველოს მთავრობასა და "გაზექსპორტს" თანამშრომლობის შესახებ ახალი ხელშეკრულება აუცილებლად საჯარო განხილვის საგანი გახდება. **"საჯარო განხილვის რა ფორმას აირჩევს ენერგეტიკის სამინისტრო, მისი გადასაწყვეტია, თუმცა საქართველოში "გაზექსპორტის" წარმომადგენლობა ხელშეკრულების პროექტს შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოსათქმელად სპეციალისტებს აჩვენებს,"** - განაცხადა მორჩილაძემ.

გილაურთან ერთად მოსკოვში ორდღიანი ვიზიტით საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვაც მიემგზავრება. დელეგაციას მოსკოვში დავით მორჩილაძე დახვდება. ვიზიტის დროს მხარეები ზამთარში საქართველოს გაზით მომარაგების საკითხებს განიხილავენ და "გაზპრომთან" ხანგრძლივი ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების დეტალებს დააზუსტებენ. კერძოდ, საუბარი გაზის მოწოდების მოცულობებს, საქართველოს გავლით გაზის გატარებას და სხვა საკითხებს შეხება. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, შეხვედრაზე გაზის გაძვირების თემაზეც იმსჯელებენ.

ავიაკატასტროფა სუმატრაზე

კიდევ ერთი დაღუპული ბოინგი

ინდონეზიური ავიაკომპანია "მანდალა ეარლაინსის" თვითმფრინავი გუშინ აფრენიდან ცოტა ხანში ქვეყნის სიდიდით მესამე ქალაქ მედანის საცხოვრებელ კვარტალში ჩამოვარდა. კატასტროფის შედეგად დაიღუპა "ბოინგ-737"-ის ბორტზე მყოფი 117 ადამიანი. გავრცელებული ინფორმაციით, თვითმფრინავის აფეთქების შედეგად გაჩენილმა ხანძარმა 30–მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მიწაზე.
ავიაკატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ სავარაუდოდ, ეს შემთხვევა ტექნიკური გაუმართაობის ბრალი იყო და არა ტერაქტის.

ინდონეზიაში კიდევ ერთი ბოინგი ჩამოვარდა სავარაუდოდ, კვლავ ტექნიკური გაუმართაობის მიზეზით.

"ბოინგ-737" ინდონეზიის ქალაქ მედანის აეროპორტიდან სულ რამდენიმე წამის აფრენილი იყო, როცა ქალაქის ერთ-ერთ საცხოვრებელ უბანში ჩამოვარდა. შემთხვევის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა ათობით შენობას. თავად თვითმფრინავისგან მხოლოდ უკანა ნაწილი გადარჩა.

თავდაპირველად, გაკეთდა განცხადება, რომ თვითმფრინავში მყოფთაგან არავინ გადარჩენილა. სააგენტო "როიტერსი" სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელზე, ზაინულ კაჰარზე დაყრდნობით იუწყებოდა, დაღუპულთა შორის 112 მგზავრი და ეკიპაჟის ხუთი წევრია, მიწაზე კი 30 ადამიანი დაიღუპა.

თუმცა, მოგვიანებით, რუსულმა სააგენტო "ინტერფაქსმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ თვითმფრინავის მგზავრთაგან 16 გადარჩა. ავიაკომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, სასწაულით გადარჩენილები მედანის საავადმყოფოებში არიან გადაყვანილნი.

როგორც იუწყებიან, თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდა ჩრდილოეთ სუმატრას პროვინციის ამჟამინდელი გუბერნატორი ტენგკუ რიზალ ნურდინი და ყოფილი გუბერნატორი რაჯა ინალ სირეგარი.

ავიაკომპანია "მანლადა ეარლაინსი" 1969 წელს დაფუძნდა ერთ-ერთი სამხედრო ორგანიზაციის დახმარებით. მის ავიაპარკში 15 "ბოინგ-737-200" შედის, რომელთა უმეტესობაც გასული საუკუნის 70-იან წლებშია გამოშვებული. ბი-ბი-სი ავრცელებს ინფორმაციას, რომ უკანასკნელ პერიოდში ავიაკომპანია მძიმე ფინანსურ კრიზისში იმყოფებოდა. ავიაკომპანიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გენერალ-მაიორ ჰასრილ ტანიუნგის თქმით, დაღუპული თვითმფრინავი 25 წლის წინათ იყო წარმოებული. თუმცა, მან მიმდინარე წლის ივნისში წარმატებით გაირა ტექდათვალიერება. თვითმფრინავი, რომელმაც ჰაერში 50 ათასი საათი გაატარა 2016 წელს უნდა ჩამოეწერათ.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელი კატასტროფა ერთი თვის მანძილზე ბოინგის ფირმის მიერ გამოშვებული თვითმფრინავების ავარიის მეოთხე შემთხვევაა. მათგან მხოლოდ ერთი დასრულდა მსხვერპლის გარეშე. დანარჩენების ჩამოვარდნას ასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

რა მიზეზით აღმოჩნდა ნიუ ორლეანი წყალში?

პირველი გვერდიდან

ეს არ არის „უბრალოდ პოლიტიკა" ან გადაბრალება „პოლიტიკური ქულების დასაწერად". ეს ეხება იმას, თუ რა გააკეთა ან არ გააკეთა მთავრობამ თავისი მოვალეობების შესასრულებლად; ეს ეხებათ იმათაც, ვისაც ამ პოლიტიკის საფასურის გადახდა უწევთ.

ეს სვეტი ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, ვინც მოახლოებული ქარიშხლის „კატრინას" შესახებ ამბობდა: „მაპატიეთ, მაგრამ პოლიტიკა არ მაინტერესებს", ან „მე მაინც არაფრის გაკეთება არ შეიძლია", ან „ეჰ, ეგენი მაინც ყველანი თაღლითები არიან, ეს მე არანაირად არ მეხება, არ ეხება ჩემს ოჯახს, მე მაინც ვერაფრით დავეხმარები". მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ დღეს დილით. ალბათ, იარაღის ეროვნული ასოციაცია ამაზე განაცხადებდა, "მთავრობის პოლიტიკა არ კლავს ხალხს, ხალხს ქარიშხლები ხოცავენ". უფრო ზუსტი კი იქნება, ვთქვათ: ქარიშხალი და პლუს მთავრობის პოლიტიკა - არის ის, რაც ანადგურებს ხალხს.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომაა ნიუ ორლეანი ასე მგრძნობიარე ქარიშხლებისადმი, ისაა, რომ ყურის სანაპიროზე არსებული ჭაობები, რომლებიც ქალაქსა და ზღვიდან მომავალ ქარიშხლებს შორის ბუფერის როლს ასრულებდნენ, თანდათან ქრება. ჭაობების დაშრობა არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან ადმინისტრაციის სახელს არ უკავშირდება; ამაში მონაწილეობის სურვილი არავის აქვს, "ეგ დემოკრატებმა გააკეთეს", ან "ეგ რეიგანის ბრალია". ბევრი გარემოს დამცველი იმ აზრისაა, რომ პრობლემის ძირითადი მიზეზი მისისიპის ბუნებრივ დინებაში (კალაპოტში) ერთი საუკუნის წინ დაწყებული ჩარევაა, ალუვიური მიწების მდინარის დელტაში გადაადგილების შეზღუდვის სახით.

მაგრამ ამ გრძელვადიანი პოლიტიკის შორსმიმავალი შედეგების გარდა, როგორიცაა ინჟინერთა კორპუსისთვის დავალება, შეექმნათ იმაზე უკეთესი მდინარე, ვიდრე ღმერთმა შექმნა, არსებობს შედეგები, რომლებიც მოკლე ვადაში ვიწვნიეთ. ფაქტია, რომ კლინტონის ადმინისტრაციას ძალიან თანმიმდევრული პოლიტიკა ჰქონდა ჭაობებთან დაკავშირებით და, ასევე ფაქტია, რომ ბუშის ადმინისტრაციამ ამ პოლიტიკაზე უარი თქვა - უბრძანა რა ფედერალურ სააგენტოებს, შეეწყვიტათ 20 მილიონი აკრის ფართობის ჭაობების დაცვა.

შარშან, ოთხი გარემოსდაცვითი ორგანიზაციის თანამშრომლობის შედეგად, გამოქვეყნდა საერთო მოხსენება, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ბუშის პოლიტიკის შედეგად მშენებლებმა ათასობით აკრი ჭაობი დააშრეს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ნიუ ორლეანში მომხდარ სტიქიაში პრეზიდენტი ბუში უნდა დავადანაშაულოთ? არა, ქარიშხალი, როგორც ბუნებრივი მოვლენა გარდაუვალი იყო, მაგრამ როდესაც მესამე ან მეორე კატეგორიის ქარიშხალი ნიუ ორლეანს მიწასთან ასწორებს და ისეთ შედეგს ვღებულობთ, როგორიც დღეს სახეზეა, ეს სხვა არაფერია, თუ არა უგულისყურობა მოსალოდნელი საფრთხის მიმართ, ან სულაც უმოქმედობა არსებულ მდგომარეობაში.

ისეთი სიძლიერის ქარიშხალი ,როგორიც "კატრინაა", რომ მომხდარიყო ცოტა მოგვიანებით, არ არის გამორიცხული, არავის გახსენებოდა ბუშის ადმინისტრაციის ორი თვის წინანდელი ქმედებები. ამერიკულ პრესას ხომ ძალიან სუსტი მეხსიერება აქვს. შეეკითხოთ ვაშინგტონს, თუ რა მოხდა სულ რამოდენიმე წლის წინ, ეს იგივეა ჰკითხოთ, თუ რა მოხდა თურქეთის ქალაქ იზნიკში ჩვენი წელთაღრიცხვით 325 წელს.

გასულ ივნისს ბუშმა ნიუ ორლეანის ინჟინერთა კორპუსის ბიუჯეტს $71,2 მილიონი ჩამოაჭრა, ანუ ბიუჯეტი 44 პროცენტით შეამცირა; ნიუ ორლეანის ინჟინერთა კორპუსის ხელმძღვანელმაც შესაბამისად შეწყვიტა მოსამსახურეთა დაქირავება და ყოველწლიური პიკნიკიც, რომელსაც კორპუსი თანამშრომელთათვის აწყობდა, გააუქმა. ნიუ ორლეანის საქალაქო ბიზნესის ადმინისტრაციამ განაცხადა კიდევაც, რომ ადგილობრივი საინჟინრო ფირმების ქარიშხალისა და წყალდიდობის პრევენციულ პროექტებს სახელმწიფო წელს არ დააფინანსებდა. პროექტი, რომელიც გამოიკვლევდა და შეისწავლიდა, რა პრევენციული ზომებისათვის უნდა მიემართა რეგიონს მოსალოდნელი მეხუთე კატეგორიის ქარიშლის შემთხვევაში, თაროზე დარჩა. ყოველივე ამის შემდეგ, შეუძლებელია მომხდარს უბრალოდ პოლიტიკური წარუმატებლობის შედეგი უწოდო.

ჩვენი მეგობრები ამერიკული პროგრესის ცენტრიდან იუწყებიან, რომ ტექნოლოგიათა შეფასების ცენტრს ჰქონდა შემუშავებული პრევენციული ხასიათის პროექტები, რომელიც შეეხებოდა ეროვნულ პოლიტიკას წყალდიდობებთან მიმართებაში, მაგრამ სამწუხაროდ ამ ცენტრის პროექტები უგულებელყოფილ იქნა ცნობილ რესპუბლიკელ, ნიუტ გინგრიხთან, უთანხმოების გამო.

ფაქტობრივად, მთელი მთავრობა ცდილობს, თავი აარიდოს მეცნიერებაზე, კვლევებზე და პროფესიონალიზმზე დამყარებული პოლიტიკის წარმოებას. თუ გაინტერესებთ, რა იდეოლოგიური პოლიტიკა აქვს ვაშინგტონს წყალდიდობასთან მიმართებაში, შეხედეთ ნიუ ორლეანის დღევანდელ სურათს და მიხვდებით, რომ ასეთი პოლიტიკა ან პროგრამა ვაშინგტონს საერთოდ არ გააჩნია.

სამწუხაროდ, ერაყის ომი პირდაპირ კავშირშია იმ უბედურებასთან, რაც ქარიშხალმა მოიტანა. ლუიზიანას ეროვნული გვარდიის დაახლოებით 35 პროცენტი ამჟამად ერაყშია. ლუიზიანას ეროვნული გვარდია კრიზისს განიცდის სწორედ იმის გამო, რომ მასში გაწვრიანების მსურველებს ეშინიათ, შემდგომში სხვების მსგავსად ერაყში არ იყვნენ გადაგზავნილნი.

ლუიზიანას ეროვნული გვარდია ასევე იუწყება, რომ ათეულობით სანაოსნო ტრანსპორტი, ვერტმფრენი, გენერატორი საზღვარგარეთ იგზავნება. არ მინდა დავწვრილმანდე, მაგრამ მაინც საინტერესოა - რა საჭიროა სანაოსნო ტრანსპორტის გადაგზავნა ერაყში? როცა აღნიშნულ არაორგანიზებულობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ამერიკის მთავრობას ერაყში ჯარისკაცთა არასაკმარისი რაოდენობა ჰყავს დისლოცირებული და იმის ნაცვლად, რომ ეს შეცდომა აღიაროს, თავს იმართლებს იმ ფაქტით, რომ კვლავ განაგრძობს სამხედროთა გაწვევას.

ნიუ ორლეანის ჯვებირთაგან ორი განადგურებულია, რაც ქალაქის დატბორვას იწვევს. მათი განადგურების მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ მათი შესაკეთებელი თანხები ერაყის ომის დაფინანსებაზე დაიხარჯა. ვალტერ მაერსმა, ჯეფერსონ პერიშის საგანგებო შემთხვევათა განყოფილების ხელმძღვანელმა, 2004 წლის 8 ივნისს განაცხადა, რომ აღნიშნული თანხები პრეზიდენტ ბუშის განკარგულებით საშინაო და საგარეო უსაფრთხოებაში, ანუ ერაყის ომში ჩაიდო.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოლიტიკაზე, და არა პოლიტიკურ პერსონებზე, თვალყურის დევნება, რათა განვსაზღვროთ, ვის მივცეთ ხმა შემდგომში; ეს უკანასკნელი, როგორც დარწმუნდით, სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს.

1 სექტემბერი, 2005
"საერთაშორისო
გამჭვირვალობა საქართველო"

"ბიუსტჰალტერების ომის" შემდეგ მხარეები დაზავდნენ

ევროპისა და აზიის სადავო თემა

ხათუნა გაბიევი

ევროპის პორტებში გაჩერებული ჩინური საფეიქრო ნაწარმის თაობაზე პეკინში გამართულ ჩინეთ-ევროკავშირის სამიტზე, ოფიციალურმა პეკინმა და ევროკავშირმა, როგორც იქნა, შეთანხმებას მიაღწიეს.

"მე მსურს დავადასტურო, რომ ჩინურმა და ევროპულმა მხარემ, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ, ნამდვილად მიაღწიეს შეთანხმებას მსუბუქი მრეწველობის დარგში დაწყებული კონფლიქტის თაობაზე," - განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა ფრანსუაზ ლე ბელმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე.

"მოლაპარაკებათა შედეგი სამართლიანი და ობიექტურია. ეს მისაღებია ორივე მხარისთვის, თანაც როგორც ბიზნესმენებისთვის, ასევე მომხმარებელთათვისაც," - აღნიშნა ჩინური მხარის წარმომადგენელმა, პრემიერ-მინისტრმა ვენ ძიაბაომ.

შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის საბაჟო ორგანოები ჩინურ პროდუქციას სათანადოდ გადაანაწილებენ. პროდუქციის ნახევარი მომავალი წლის კვოტაზე ჩაერიცხება ჩინეთს, მეორე ნახევარი კი ევროპის ბაზრისკენ დაუყოვნებლივ აიღებს გეზს.

ევროპულ ბაზარზე პროდუქციის შემოტანის კვოტაზე საუბარი ევროკავშირმა ჩინეთთან ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო, მაგრამ რიგი გარემოებების გაუთვალისწინებლად. გაუგებრობა კი იმან გამოიწვია, რომ ევროპულმა მხარემ ჩინეთიდან დაძრული ნაწარმის უზარმაზარი რაოდენობა მაშინ მოლაპარაკებებზე არ გაითვალისწინა. ამან კი შედეგად ევროპის სახელმწიფოებში ჩინური წარმოების სვიტერების, შარვლების, პერანგების, მაისურებისა და ქალის თეთრეულის დიდი რაოდენობით დაგროვება გამოიწვია. საბაჟო ტერმინალებში გაჩერებული ტვირთის საერთო ღირებულება მილიონობით აშშ დოლარს აჭარბებს. მსუბუქი მრეწველობის დარგში წარმოქმნილ კონფლიქტს სახელიც შესატყვისი შეურჩიეს და მას "ბიუსტჰალტერების ომი" უწოდეს.

ჩინური პროდუქციის მოზღვავებით შეშინებული ევროპული ქვეყნები ბაზარზე საკუთარი წარმოების პროდუქციისთვის ადგილის დაკარგვის სერიოზულ საფრთხეს ხედავენ. ყველაზე აქტიურად კი ჩინური პროდუქციის შემოტანას ევროპულ ბაზარზე საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია და ესპანეთი ეწინააღმდეგებიან, რომლებიც მსუბუქი მრეწველობის დარგში აზიელ მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებიან. ევროპული სახელმწიფოების მეორე ნაწილი კი, ისეთი, როგორიცაა გერმანია და შვედეთი პირიქით, მომხმარებლისთვის ჩინური საქონლის დროულად მიწოდების მომხრენი არიან, რადგან პროდუქციის შეყოვნება იმპორტიორებს მილიონობით აშშ დოლარი უჯდება.

თუმცა, თუ ჩინეთის მიერ პროდუქციის მიწოდების მზარდ ტენდენციას გავითვალისწინებთ, გასაკვირი არ იქნება ევროკავშირის წევრთა უმრავლესობის შეშფოთება. მიმდინარე წელს ჩინეთმა ევროპულ ბაზარს 300 მილიონი ცალი სვიტერი მიაწოდა მაშინ, როცა გასულ წელს ევროკავშირის სივრცეში შეტანილი ჩინური წარმოების სვიტერების რაოდენობა მხოლოდ 40 მილიონი ცალით განისაზღვრებოდა. რასაკვირველია, ამას თავისი მიზეზებიც აქვს, კერძოდ ის, რომ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციამ ჩინეთს ამ ნაწარმზე დაწესებული კვოტები გაუუქმა. ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება კი ძალაში 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

თუმცა, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არ კრაძალავს განსაკუთრებულ შემთხვევებში კვოტების ხელმეორედ დაწესებასაც. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი ის იგულისხმება, რომ კვოტები დაწესდება მაშინვე, როგორც კი პროდუქციის მიწოდების მკვეთრი ზრდა იმპორტიორი ქვეყნების მიერ "დესტაბილიზაციის" საფრთხედ შეფასდება.

საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის დარგში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი ჯარიმების გადახდა შესაძლებელია ბანკ "რესპუბლიკის" ყველა ფილიალში.

ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალების მისამართებია:

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (99532) 312161, 312181
ფაქსი: (99532) 312161
ელფოსტა: info@delisi.republic.com.ge
სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (99532) 911117, 911118, 237043
ფაქსი: (99532) 911117, 911118
ელფოსტა: info@sadguri.republic.com.ge
გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (99532) 590770, 590880
ფაქსი: (99532) 590660
ელფოსტა: info@gldani.republic.com.ge

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740
ელ-ფოსტა: info@samt.republic.com.ge

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08
ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N1
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 13
ტელ: (995 32) 294598, 294599
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: scenter1@republic.com.ge

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N2
თბილისი, საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: (995 32) 433181
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: ap1@republic.com.ge

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N3
თბილისი, ფალიაშვილისი ქ. 33ა
ტელ: (995 32) 912237, 912238, 912239, 912240
ფაქსი: (995 32) 912241
ელფოსტა: info@republic.com.ge

გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N1
თბილისი, ლუბლიანას ქ. 18/20
ტელ: (995 32) 261629, 517047
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N 2
თბილისი,დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
ტელ: (995 32) 531951, 531952
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

თელავის სერვისცენტრი
თელავი, ნადიკვარის ქ. 13
ტელ: (995 250) 75608, 75607
ელფოსტა: info-telavi@gldani.republic.com.ge

გორის სერვისცენტრი
გორი, მოსკოვის ქ. 1
ტელ: (995 270) 70780
ელფოსტა: info-gori@gldani.republic.com.ge

ზუგდიდის სერვისცენტრი
ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. 1
ტელ: (995 215) 51982

ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08
რუსთავის სერვისცენტრი
მშენებელთა ქ. 21
ელფოსტა: info-rustavi@gldani.republic.com.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 18 აგვისტოს N340 განკარგულების "საქართველოს მთავრობის განკარგულება 2005-06 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა წასახალისებლად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველკლასელთათვის სასკოლო ჩანთების შეძენის მიზნით 2005 წლის 18 აგვისტოს გააფორმა ხელშეკრულება 473 100 ლარზე, ხოლო სახელმძღვანელოების შეძენის მიზნით 2005 წლის 24 აგვისტოს შესაბამის გამომცემლობებთან გააფორმა ხელშეკრულებები 484 282.50 ლარზე.

აღნიშნული სასკოლო ჩანთებისა და პირველკლასელთათვის სახელმძღვანელოების საქართველოს მასშტაბით დისტრიბუციის (განაწილების) მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2005 წლის 25 აგვისტოს 23 000 ლარზე გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულება.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დავით კოვზირიძის სვეტი

მოწესრიგებული ჯიგრით ნაშოვნი ქულები

[illegible]

ეროვნულების თამაშზე ფეხბურთს პირველად ვუყურე ზედ მოედნიდან - მინდორზე ერთ მხარეს ჩემი საყვარელი გუნდი იდგა, მეორე მხარეს მსოფლიოს საუკეთესო თავდასხმელები. აქეთ დარსაძე, იქით ბლოხინი, შუაში კი მე ვიდექი. რა უნდა იყოს ამაზე კარგი ფეხბურთზე მწერალი და ფეხბურთში დასაბეჭდავი კაცისთვის?

"ბროვკიდან" თამაში ისე კარგად არ [illegible] ან და თავიდან უხერხულად აღიქვამ მთელ [illegible] ნელა პროცესში ერთვები და როგორც [illegible] აქვს, ზევით ახედვაც აღარ მოგინდება.

რასაკვირველია, სასტვენის ხმა გაისმა [illegible] მთლიანად ანდრიუხაზე გადაერთო - თ[illegible] თად ჩამოდიან პლანეტის საუკეთესო [illegible] უნდა გითხრათ, რომ ეს არ იყო საუკ[illegible] ეტყობა, რომ იტალიაში ჯერ ერთი ტურ[illegible] მის ყოველ მოძრაობაში მაინც ჩანდა, რომ [illegible] რდა პროფესორი.

უფრო იმან კი არ გამაოცა, როგორ [illegible] შპაგატში ჩამჯდარმა, ანაც, როგორ [illegible] ალყაში და დაარტყა. არა. ყველაზე საო[illegible] მოედნის ცენტრში, კარისკენ ზურგით [illegible] ბა, ბურთს მეპასეს უტოვებდა და არა[illegible] რბოდა ლომაიასკენ - უკან დარჩენილ[illegible] აძლევდა. ეს სამჯერ მოხდა. პირველად [illegible] მეორედ გავიგე და მესამედ დავაკვირდ[illegible] იმით, თუ როგორი სიზუსტით ასრულებ[illegible] ის გეგმას. კაპიტნისა, რომელიც ამ დ[illegible] ყველაფერს ხედავდა. ეს მესამე თვალ[illegible] ლიბრის ფეხბურთელებს აქვთ.

ამიტომაცაა პროფესორი და ამიტომ[illegible] დიადმა ფეხბურთელმა და დღეს უკრაი[illegible] ნმა სულ დედის . . . რომ აგინა ყველას, [illegible]

დარსაძეს არავისთვის უგინებია. არ[illegible] თან დედის გინება არ მოსულა. უბრალ[illegible] შნას ქართველი ფეხბურთელები იმ წამ[illegible] ას და ეს ამბავი ძალიან მესიამოვნა. გუ[illegible] ლინა და ერთსულოვნებაა, საქართველ[illegible] ლობს ერთად თამაშს და ყველაზე მთავ[illegible] ომობენ. ალბათ გახსოვთ, რა საშინელ[illegible] საათი, როცა ნებისმიერი ხარისხის მეტ[illegible] შეურაცხყოფას გაქვავებულ ქართველ[illegible] ღირსებაც შეგვინარჩუნა, განწყობაც [illegible] მოგვიტანა ორ თითქმის წაგებულ მატ[illegible]

ასე, ნელ-ნელა უნდა ვისწავლოთ ყ[illegible] გავაგრძელოთ ახალი ბიჭების ინტეგრ[illegible] ლაკში ჩემს თვალწინ გაზრდილი მალ[illegible] დეტალებში ნამდვილად არ ვიცი, რა [illegible] შორის. მაგრამ ფაქტია, რომ ეს ამბავი [illegible] აკუნას პატარაობიდან ვიცნობ, ვიცი, რ[illegible] რომ არ ითაკილებს შერიგებისკენ პირ[illegible] პირველი ნაბიჯი კი სწორედ ფეხბურთ[illegible] დგმას. ის სჭირდება გუნდს და იმიტომ. [illegible] მარჯვებთ და იმიტომ.

მომავალ სამშაბათამდე

ფეხბურთი

დარსაძე დაცვას მიხედავს

მიხეილ აბაიშვილი
კოვენჰაგენიდან

დანიელებს უკრაინის იმედი აქვთ, დარსაძეს კი დაცვის.

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდებმა დანიის დედაქალაქამდე საკმაოდ კომფორტულად იმგზავრეს. ავიაკომპანია "საქართველოს ავიახაზების" ბოინგის ტიპის თვითმფრინავმა თბილისი-კოპენჰაგენის ჩარტერული რეისი შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, დანიელებს ჰაერივით სჭირდებათ 3 ქულა, "ხუთჯვაროსნების" მათ ქვეყანაში ჩასვლას არავითარი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია. აეროპორტში ერთი სამოყვარულო კამერაც კი არ დაგვხვედრია.

ინტერესის თვალსაზრისით ვითარება მცირედით პასპორტების შემმოწმებელმა საკმაოდ სიმპათიურმა მებაჟე გოგონამ გამოასწორა. როგორც ჩანს, იგი ფეხბურთის აქტიური გულშემატკივარია, რაც კალაძის, კობიაშვილის, დემეტრაძისა და ხიზანიშვილისთვის ავტოგრაფების ჩამორთმევაში გამომჟღავნდა.

აეროპორტიდან როგორც ეროვნული, ისე ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ავტობუსით სასტუმროში გაემგზავრნენ, რომელიც კოპენჰაგენთან დაბა ფარუმში მდებარეობს. ორივე ნაკრები ერთ სასტუმროში - "ფარუმ პარკში" დაბინავდა, რაც ერთგვარი სიახლეა. როგორც წესი, ეროვნული ნაკრები სხვა, თანაც, ახალგაზრდულ ნაკრებთან შედარებით, გაცილებით კომფორტულ და ვარსკვლავებით დახუნძლულ სასტუმროში ჩერდება. "ფარუმ პარკზე" კი, რომ ვთქვა, ექსტრაკლასი-საააო, არ ვიქნები მართალი. თუმცა, როგორც გაირკვა, ფედერაციის მხრიდან ფულის დაზოგვის სურვილი მართლაც არაფერ შუაშია. ამ დღეებში კოპენჰაგენში მთელი მსოფლიოს მობილური ოპერატორების, ეგრეთ წოდებული ტელეკომების კონგრესი იმართება. ამ ბიზნესში დაკავებული ხალხი კი, მოგეხსენებათ, უფუულობას ნამდვილად არ უჩივის და დანიის დედაქალაქის ყველა მეტნაკლებად კომფორტული სასტუმრო ისეა გადაჭედილი, რომ ერთ ცარიელ ნომერსაც ვერ იშოვი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ "ფარუმ პარკი" მართლაც ზედგამოჭრილია ჩვენი გუნდებისთვის. ჯერ ერთი, ეს მხოლოდ სასტუმრო არ გახლავთ.

"ფარუმ პარკი" კომპლექსია, რომელიც აერთიანებს სასტუმროს, სტადიონს, ფეხბურთის სავარჯიშო მოედნებს, სატრენაჟორო დარბაზებს, სამედიცინო ცენტრს და ჩოგბურთის კორტებს. ამას გარდა, ეს დაბა საკურორტო ზონაში მდებარეობს და თავისი ფიჭვნარებით თუ ნაძვნარებით, იოდით გამდიდრებული სუფთა ჰაერით, სიმყუდროვით და წესრიგით გამოირჩევა. ეს ყველაფერი კი, დამეთანხმებით, საუკეთესო პირობებს ქმნის ისეთი მნიშვნელოვანი თამაშებისთვის მოსამზადებლად, როგორიც დღეს და ხვალ ელით ჩვენს ფეხბურთელებს. აქვე ვიტყვი, რომ ახალგაზრდული ნაკრები დღეს სწორედ ამ კომპლექსში შემავალ "ფარუმ სტადიომზე" გამართავს მატჩს დანიის 21 წლამდელთა ნაკრებთან. ეს კოხტა სტადიონი 5 ათასამდე გულშემატკივარს იტევს და თამაში თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება.

სასტუმროში დაბინავებისთანავე, ორივე ნაკრებმა სწორედ "ფარუმ სტადიუმის" მინდორზე სავარჯიშოდ გადაინაცვლა. თავიდან მოედანი ორ ნაწილად გაყვეს და ერთ ნახევარში ეროვნული, ხოლო მეორეში - ახალგაზრდული ვარჯიშობდა. გაიოზ დარსაძემ პირველი ნაკრები სულ ნახევარი საათით დატვირთა. როგორც თავად მითხრა, ეს ვარჯიში მხოლოდ იმ მიზნით ჩატარდა, რომ ფეხბურთელებს მგზავრობით გამოწვეული დაღლილობა მოხსნოდათ და ფიზიკური კონდიციები აღედგინათ. უფროსების წასვლის შემდეგ ახალგაზრდულმა მთელს მოედანზე განაგრძო ვარჯიში. კობა ჟორჟიკაშვილმა თავისი გუნდი გაცილებით მეტ ხანს, 1,5 საათის განმავლობაში დატვირთა და სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა.

დანიელებს შესარჩევ ციკლში სამი თამაში აქვთ დარჩენილი, თუმცა, ამ მატჩებზე ნამდვილად არ ფიქრობენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ექვსი ქულა გარანტირებული აქვთ. ნებისმიერი დანიელი, რომელიც იგებს, რომ საქართველოდან ვარ, ჩვენთვის კატასტროფულ პროგნოზებს გამოთქვამს. სხვათა შორის, ამ საქმეში გულშემატკივრებს არც ადგილობრივი სპორტული მედია ჩამორჩება. გაზეთ "სპორტ კოპენჰაგენში" ისიც დაიწერა, რომ ქართველებს იმდენი გოლი უნდა გავუტანოთ, მეკარე კარის ბადიდან ბურთების გამოტანას ვერ ასწრებდესო. საერთოდაც, საქართველოზე ძალზე ცოტა ინფორმაციას ავრცელებენ. ვითარება მცირედით გუშინ საღამოს, საქართველოს ეროვნული ნაკრების ვარჯიშზე შეიცვალა. ამჯერად ადგილობრივმა მედიამ და ტელევიზიამ ინებეს და საწვრთნელი პროცესიც გადაიღეს, ფეხბურთელებთანაც ჩაწერეს ინტერვიუები და გაიოზ დარსაძესაც იმპროვიზებული პრესკონფერენცია ჩაატარებინეს. რაღა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში ფეხბურთელთაგან კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი იყვნენ. აღსანიშნავია, რომ დანიური მედია გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს მომავალ უკრაინა - თურქეთის მატჩს, რომელიც ასევე 7 სექტემბერს გაიმართება. თურქეთი დანიელთა მთავარი კონკურენტია მეორე ადგილისთვის ბრძოლაში და თუ ჩვენი მეზობლები დარჩენილი ორი თამაშის მოგებას მოახერხებენ უმოტივაციო უკრაინასთან და არც თუ ძლიერ ალბანეთთან, მაშინ მეორე ადგილს დაიკავებენ. დანიელთა ეს გადამეტებული ირიბი ინტერესიც ამით არის განპირობებული. ჩვენს ეროვნულ გუნდში მართლაც საუკეთესო განწყობაა. გუშინ, დღის პირველ ნახევარში, ფედერაციის და ნაკრების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, პირველი ნაკრები სრული შემადგენლობით გაემგზავრა კოპენჰაგენის ცენტრში, სადაც ქაალქის ძველი, ისტორიული ნაწილი მოინახულა. სანახავი და აღსაფრთოვანებელი კი კოპენჰაგენს მართლაც ბევრი აქვს. ადრეული თუ გვიანი შუა საუკუნეების ულამაზესი სასახლეები, მათ შორის, დედოფლის რეზიდენცია, ვიკინგების ხომალდებმომდგარი ჩრდილოეთის ზღვის სანაპირო, მდინარეებზე და არხებზე გადაჭიმული ასაწევი ხიდები, ბულვარები, ლამაზი პარკები, ქანდაკებები, მოედნები და რომელი ერთი ჩამოვთვალო. ჩვენი რუსთაველის არ იყოს, ქალაქის მთავარ გამზირს აქაც უდიდესი მწერლის და მეზღაპრის, ჰანს კრისტიან ანდერსენის სახელი ჰქვია. სწორედ ამ გამზირის სიახლოვეს არის თავმოყრილი ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობები. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების მიერ გუშინ დაგროვილი მდიდარი და წარუშლელი შთაბეჭდილებები მათ დადებითი ემოციებით აღავსებს. ამას გარდა, ფედერაციის პრეზიდენტის, ნოდარ ახალკაცის თქმით, გუნდის შენება მინდორზე კი არა, მის გარეთ იწყება და გუშინდელი გასეირნებაც სწორედ იმისკენ იყო მიმართული, რომ ფეხბურთელები უფრო დაახლოვებულიყვნენ და დამეგობრებულიყვნენ. სწორედ ამ სეირნობის დროს მოვიხელთე გაიოზ დარსაძე და მომავალ მატჩზე რამდენიმე შეკითხვით მივმართე.

- როგორი მდგომარეობაა გუნდში ფიზიკური კონდიციების თვალსაზრისით?

- უკრაინასთან მატჩის შემდეგ მიკროტრავმა აწუხებდა მენთეშაშვილს, გუშინ თავს კობიაშვილიც შეუძლოდ გრძნობდა, თუმცა, დღეს ყველაფერი წესრიგშია. განწყობაც ისეთი საბრძოლოა, როგორიც მომავალ თამაშს შეეფერება. უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს.

- შემადგენლობის გადახალისებას ხომ არ ფიქრობთ?

- მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ორი ყვითელი ბარათის გამო კანკავა ვერ ითამაშებს, ხოლო გადავახალისებ თუ არა შემადგენლობას, მატჩის დაწყებისას შეიტყობთ.

- დანიის ნაკრებისგან რაიმე სიურპრიზს ხომ არ ელით?

- არანაირი სიურპრიზი არ იქნება. მეტოქეს კარგად ვიცნობთ და ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივით. ცხადია მომავალ მატჩზე რა ტაქტიკას მივმართავთ, ამაზე ჯერ არაფერს გეტყვით.

- იონ დალ ტომასონი დანიელთა შეტევების ცენტრტალური ფიგურაა. მან თბილისში ორი გოლი გაგვიტანა. როგორ ითამაშებთ მის წინააღმდეგ - პერსონალურ მეურვეს ხომ არ მიუჩენთ?

- თანამედროვე ფეხბურთში მცნება პერსონალური მეურვე თითქმის აღარ გვხვდება. ჩვენც ზონური პრინციპით ვითამაშებთ და ტომასონს ის ფეხბურთელი გააკონტროლებს, ვის ზონაშიც აღმოჩნდება.

- თქვენი მთავარი მიზანი ნაკრების ბრძოლისუნარიან გუნდად ჩამოყალიბება და მასში ახალგაზრდა ფეხბურთელების ინტეგრირებაა. ამ კონკრეტულ თამაშზე რაიმე ლოკალურ მიზანს ხომ არ ისახავთ?

- გვაქვს ასეთი მიზანი - დაცვაში კარგი თამაში. მთავარ მწვრთნელად ჩემს დანიშვნამდე 7 მატჩში ნაკრებმა თერთმეტი გოლი გაუშვა, რაც, დამეთანხმები, ძალზე ბევრია. ამიტომ ჩემი მიზანია, რაც შეიძლება უშეცდომო გავხადოთ ჩვენი დაცვის ხაზი და უსაფრთხო - ჩვენი კარი. ჯერ ეს პრობლემა უნდა გადავჭრათ.

ფორმულა 1

კოლუმბიელმა იტალიას „დიდი პრიზი" წაართვა

მონტოიამ მონაკოზე კარიერაში მეორე გამარჯვება იზეიმა.

სამეფო რბოლათა იტალიელ ტიფოზებს მიაჩნიათ, რომ "მონაკოზე" გამარჯვება ჩემპიონატის მოგების ტოლფასია. "იტალიის დიდი პრიზი" იტალიელ გულშემატკივართათვის რომ ორმაგ ინტერესს იწვევს, არც ესაა ახალი. ამ შემთხვევაში მათი ყურადღება იტალიური საჯინიბოს პირმშოსკენ "ფერარისკენაა" მიპყრობილი. თუ სკუდერიელები "მონაკოზე" წარმატებას აღწევენ, მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს, მაგრამ მოხდა ისე, რომ საკვირაო რბოლაზე გამარჯვებულის კვარცხლბეკზე იდგა არა ფერარელი და არა იტალიელი მრბოლი, არამედ მაკლარენელთა კოლუმბიელი მრბოლი ხუან პაბლო მონტოია, რომელსაც ამავე ტრასაზე გამარჯვებისთვის "უილიამსის" რიგებში მიუღწევია 2001 წელს. იტალიელებს კი ნუგეშად ისღა დარჩათ, რომ მესამე ადგილზე გავიდა მათი თანამემამულე ჩემპიონატის ლიდერ საჯინიბო "რენოდან" ჯანკარლო ფიზიკელა.

რაც შეეხება მონტოიას, მან "ბრიტანეთის დიდი პრიზის" შემდეგ წლეულს მეორე გამარჯვება იზეიმა. "მონაკოზე" წარმატების შემდეგ, რა თქმა უნდა, კოლუმბიელს ინტერვიუ ჩამოართვეს რასაც აქვე გთავაზობთ.

- თქვენ აქ ოთხი წლის წინ მოიგეთ, მაგრამ მაშინდელი წარმატება 11 სექტემბრის მოვლენებმა დაამწუხრა. ახლანდელ წარმატებას, ალბათ, ორმაგადაც აღნიშნავთ?

- 2001 წელს, როდესაც აქ მოვიგე, ტრადიციული რიტუალის შესასრულებლად შამპანურის გახსნაც არ შემეძლო. ამჯერად ყველაფერი ერთად ავინაზღაურე.

- წარმატების საიდუმლო რაშია?

- მართალი გითხრათ, ცუდად არასდროს ვიღებთ სტარტს... უბრალოდ საწყის მეტრებშივე უმალ მოვწყდი ჩემს მეტოქეებს. ჩემს გვერდით არავინ ყოფილა ისეთი, ვინც სახიფათოდ მომიახლოვდებოდა. ასე რომ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

- რბოლის შემდგომ ნაწილში რა ტაქტიკური გეგმა გქონდათ?

- მანძილის პირველ წრეებზე მუდმივად ვუმატებდი, რათა ისეთი უპირატესობა მომეპოვებინა, რომ თავი მშვიდად მეგრძნო, მაგრამ დროთა განმავლობაში მოსახვევებში ბოლიდმა აურია. ამიტომაც რბოლის ბოლოს ისე ხისტად აღარ ვუტევდი.

- და მაინც, რა მოუვიდა ბოლიდს?

- სარკეში დავინახე, რომ უკანა მარცხენა საბურავი სწრაფად ნადგურდებოდა, რის გამოც ავნერვიულდი კიდეც – არ ვიცოდი შევძლებდი თუ არა ფინიშის ხაზთან მიღწევას. ამიტომაც ბოლოსკენ სიჩქარე მინიმუმამდე დავაგდე.

- ზედმეტად ხომ არ რისკავდით, რამდენადაც თქვენს მეწყვილესთან კიმი რაიკონენთან ტექნიკურმა პრობლემებმა არაერთხელ იჩინეს თავი.

- ვიმეორებ, ბოლო წრეებზე დიდად არ ვუტევდი. იმდენად ნელა მივდიოდი, რამდენადაც შემეძლო. ადრეული სიჩქარე რომ შემენარჩუნებინა, ტრასიდან აუცილებლად გავფრინდებოდი.

- რბოლის მიმდინარეობისას კიმისთან თუ გქონდათ კავშირი, მისგან კონსულტაციების მისაღებად?

- არა. კავშირი გუნდთან მქონდა იმისთვის, რომ მეკითხა, რომელ მონაკვეთზე იმყოფებოდა კიმი. მინდოდა მას დავხმარებოდი, მაგრამ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც შევიტყვე, რომ რეზინებთან დაკავშირებით შექმნოდა პრობლემები, რის გამოც რბოლის გაგრძელება აღარ შეეძლო.

- მომხდართან დაკავშირებით "მიშლენისგან" თუ მიიღეთ პასუხი?

- მოხსენებას უახლოეს ხანებში მივიღებთ. ჩვენ ზედმიწევნით უნდა გავაანალიზოთ რა მოხდა, რადგან რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, "მიშლენის" საბურავების ერთადერთი მომხმარებელი გუნდი აღმოჩნდით, რომელსაც ასეთი სირთულეები შეექმნა.

ყველაფერი ძალზე უცნაურია, რადგან გასულ კვირას საბურავებს ტესტირება ჩავუტარეთ და თითოეული წესრიგში იყო.

- მთლიანობაში რბოლის შედეგებით თუ ხართ კმაყოფილი?

- რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. გამარჯვება არა მარტო ჩემთვის იყო მნიშვნელოვანი, არამედ გუნდისთვისაც, რომელსაც კონსტრუქტორთა ჩათვლაში ქულების შევსება სჭირდება. არც იმით ვარ დამწუხრებული, რომ "რენოს" მხოლოდ ერთი ქულით ვაჯობეთ.

P.S. "იტალიის დიდი პრიზი" იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ფორმულა 1-ის ისტორიაში რბოლა მესამედ დასრულდა ტრასიდან გავარდნების გარეშე. პირველად ასეთი რამ 1961 წელს ჰოლანდიაში მოხდა (რბოლა 15-მა ბოლიდმა დაიწყო და თხუთმეტივემ დაასრულა, მეორედ წლეულს ინდიანაპოლისში, როდესაც სტარტი აიღო მხოლოდ ექვსმა ბოლიდმა და ამდენივემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ასე რომ, "მონაკოზე" ჩატარებული რბოლა ყველაზე მსუყედ შეგვიძლია ჩავთვალოთ – იმდენივე მანქანამ გადაკვეთა ფინიში, რამდენმაც სტარტი აიღო, ასეთი კი 20 ბოლიდი გახლდათ.

შავი სექტემბერი

გერმანიის მთავრობისა და მიუნხენის ოლიმპიადის მესვეურები "შავი სექტემბრის" წინაშე უძლურები აღმოჩნდნენ

ბიორგი ჯანელიძე

1988 წლის 25 ივნისს პიონერთა ბანაკის სასადილო ოთახში ევროპის ჩემპიონატის საფინალო მატჩს მეგობრებთან ერთად ტელევიზიის პირდაპირ ეთერში თვალყურს ვადევნებდი: "მშობლიური" საბჭოთა ნაკრები ჰოლანდიის გუნდს ხვდებოდა. იმ წუთებში ფინალზე დასწრების სურვილი გამიჩნდა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ მე არ ვყოფილვარ ამ ჟინით შეპყრობილი თინეიჯერი, თუ არ გავითვალისწინებთ რამდენიმე გარემოებას: ჩემს სურვილს ამძაფრებდა მიუნხენის "ოლიმპიაცენტრუმის" "შუშის" ავანგარდული არქიტექტურა, მისი ისტორია (კომპლექსი მეორე მსოფლიო ომის სამხედრო "ჯართზე" გაშენდა), კონცერნ BMW-ს სათავო ოფისი და 1972 წლის 6 სექტემბერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ბრენდეჯის მიერ მიუნხენის სტადიონზე გამართულ სამგლოვიარო ცერემონიალზე წარმოთქმული ისტორიული ფრაზა, რომელმაც მთელი მსოფლიო ცრემლით, მწუხარებითა და, იმავდროულად, ოპტიმიზმით აღავსო: THE GAMES MUST GO ON!

XX ოლიმპიური თამაშები

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 27 წლის შემდეგ ანუ მაშინ, როდესაც მსოფლიო ჯერ კიდევ ჭრილობებს იშუშებდა, უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიების, 1972 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მიუნხენში ჩატარება გადაწყდა. საზოგადოების ერთი ნაწილი ამ მოვლენას დიდი ინტერესით ელოდა, ბევრს კი ქალაქის სახელის გაგონებაც შიშს ჰგვრიდა, რადგან, უახლესი ისტორიის თანახმად, ბავარიის დედაქალაქს ომთან და ნაციონალ-სოციალისტებთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო. XX ოლიმპიადას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისრაელის დელეგაციისთვის. მიუნხენს გერმანიის ახალი, დემოკრატიული სახის წარმოჩენის იდეალური შესაძლებლობა მიეცა. სახელმწიფოს ანტიმილიტარისტული სურათის შექმნის მიზნით, უსაფრთხოების ზომებიც შეგნებულად შესუსტდა: ოლიმპიადას, პოლიციელების ნაცვლად, სპეციალურ უნიფორმებში გამოწყობილი დაცვის სამსახურის 2000 უიარაღო თანამშრომელი იცავდა.

"შავი სექტემბერი"

1971 წლის ზაფხულში დამასკოში, იასირ არაფატის ორგანიზაცია PLO-ს ხელმძღვანელთა შეკრებაზე ტერორისტული დაჯგუფება "შავი სექტემბერი" შეიქმნა. იდეის მიხედვით, ამ სახელს 1970 წლის სისხლიან სექტემბერთან უნდა ჰქონოდა კავშირი (იორდანიის მეფე ჰუსეინმა პალესტინელ ლტოლვილთა აჯანყება ჩაახშო და PLO ქვეყნიდან განდევნა). პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის უიმედო მდგომარეობამ მისი მესვეურები რადიკალურ გადაწყვეტილებებამდე მიიყვანა (ტერორის ტაქტიკით ისრაელისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლა). ახალი სტრატეგიის გამტარებელ მთავარ ორგანოდ "შავი სექტემბერი" შეირჩა, რომლის დაარსებაც ორგანიზაციის მეთაურთა ხმების უმრავლესობით გადაწყდა (ვარაუდობენ, რომ არაფატს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია).

"შავი სექტემბერი" PLO-სგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. 1972 წლისთვის ტერორისტულ დაჯგუფებაში 300-500 რადიკალი პალესტინელი იყო გაწვევრიანებული, რომლებიც მცირე გუნდებად მოქმედებდნენ. მათ ერთიანი ხელმძღვანელობა არ ჰყავდათ.

გეგმა

"1948 წლიდან ჩემი ოჯახი ლტოლვილობაში იმყოფებოდა. საბოლოოდ ბეირუთში, ჩატილას ლტოლვილთა ბანაკში აღმოვჩნდი. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ვიყავი, როცა ვფიქრობდი, რომ პალესტინაში დაბრუნების გარეშე ჩვენ მომავალი არ გვექნებოდა. და თუ არ დავბრუნდებოდით, მთელი ცხოვრება ლტოლვილობაში უნდა გაგვეტარებინა. ამიტომ განმათავისუფლებელ მოძრაობას შევუერთდი. მომცეს იარაღი და სროლაში მავარჯიშებდნენ. ცხოვრებაში პირველად გამიჩნდა მომავლის იმედი. პირველად ვიგრძენი თავი არა საცოდავ ლტოლვილად, არამედ რევოლუციონერ პალესტინელად, რომელიც კონკრეტული მიზნისთვის იბრძოდა... ხელმძღვანელობამ სპეციალური მომზადების გასავლელად ლიბანიდან ლიბიაში გაგვგზავნა, სადაც ერთ თვეს გვწვრთნიდნენ. ვგრძნობდი, რომ დიდი ოპერაციისთვის გვამზადებდნენ", - ჯამალ ალ გაშაი, "შავი სექტემბერი".

1972 წლის ივლისში დაჯგუფების ლიდერები - აბუ დაუდი, აბუ ლიადი და ფახრი ალ უმარი რომში "განაჩენის გამოსატანად" შეიკრიბნენ: მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი განაცხადა თამაშებში პალესტინის გუნდის მონაწილეობაზე, გადაწყდა, რომ ისინი ოლიმპიადაზე "განსხვავებული" სახით წარდგებოდნენ.

ივლისის ბოლოს აბუ დაუდი მიუნხენში ჩავიდა. სასტუმროში დაბინავების შემდეგ იგი იარაღის შესაძენად იმავე დღეს ბულგარეთში გაემგზავრა.

24 აგვისტოს მაინის ფრანკფურტის საერთაშორისო აეროპორტში სამი ჩემოდნიდან, რომელთაგან ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღითა და ხელყუმბარებით იყო სავსე, მებაჟეებმა აბუ ლიადს მხოლოდ იმ ჩანთის გახსნა მოსთხოვეს, რომელშიც ქალის საცვლები იყო მოთავსებული.

1972 წლის 26 აგვისტოს, XX ოლიმპიადის გახსნის დღეს, აბუ დაუდმა 10 ხელყუმბარა ხელბარგით ჩაიტანა მიუნხენში. პალესტინელი ტერორისტების "არსენალი" ქალაქის მთავარი სარკინიგზო სადგურის შემნახველ საკნებში იქნა დეპონირებული.

აგვისტოს ბოლოს ჯამალ ალ გაშაი ორ თანამზრახველთან ერთად მიუნხენის ცენტრში მეთაურის მიერ მითითებულ სასტუმროში დაბანაკდა, სადაც ისინი "შავი სექტემბრის" რამდენიმე წევრსა და პასუხისმგებელ პირს შეხვდნენ (მათი უმრავლესობა დიდი ხნით ადრე "ოპერაციის" მოსამზადებლად "დაბინავდა" მიუნხენში: "ოპერაციის" ხელმძღვანელი ლუტიფ აფიფი ბერლინის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. საბოლოოდ იგი ოლიმპიურ სოფელში მშენებელ-ინჟინრად მოეწყო. მისი მოადგილე იუსუფ ნაზალიც სტუდენტი იყო და ოლიმპიადის დღეებში იყო "სოფლის" მზარეულად მუშაობდა).

"ოპერაციისთვის" ყველაფერი მზად იყო: "იქრიტი და ბირიმი" (ასე ერქვა ჩრდილოეთ ისრაელში მდებარე ქრისტიანი არაბებით დასახლებულ ორ სოფელს, რომლის მოსახლეობაც 1948 წელს ისრაელმა განდევნა) 5 სექტემბრისთვის დაიგეგმა. "შავი სექტემბრის" წევრებმა მის შესახებ რამდენიმე საათით ადრე შეიტყვეს:

"4 სექტემბრის საღამოს შეფმა სადგურის რესტორანში დაგვპატიჟა და "ოპერაციის" შინაარსი და დეტალები გაგვაცნო. მან პასპორტები ჩამოგვართვა და ბოლო დირექტივები მოგვცა. მე ძალიან ამაყი ვიყავი, რადგან ცხოვრებაში პირველად შემეძლო ისრაელის წინააღმდეგ რაიმეს გაკეთება. რესტორნიდან ყველანი ოლიმპიური სოფლისკენ გავემართეთ", - ჯამალ ალ გაშაი.

ამ დროისთვის ისრაელის ოლიმპიური დელეგაცია "დოიჩე თეატრიდან" ბრუნდებოდა.

"ოპერაცია იქრიტი და ბირიმი"

არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ამერიკელი სპორტსმენები პალესტინელებს სოფლის ღობეზე გადასვლასა და იარაღით დატვირთული სპორტული ჩანთების გადატანაში დაეხმარნენ, რისთვისაც თავაზიანმა ტერორისტებმა მადლობა გადაუხადეს და ისრაელის ნაკრების კოტეჯისკენ გაემართნენ (კონოლიშტრასე 31).

დილის 4 საათზე "შავი სექტემბრის" წევრებმა თავიანთი პოზიციები დაიკავეს და მძევლად აიყვანეს ისრაელის ოლიმპიური ნაკრების 11 წევრი. ებრაელი მძლეოსნები - მოშე ვაინბერგი და იოზეფ რომანო თავდამსხმელების განიარაღების მცდელობას შეეწირნენ: პალესტინელებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს.

მძევლობიდან თავის დაღწევა მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა შეძლო - გად ზაბარიმ.

ულტიმატუმი

გამთენიისას პალესტინელებმა ფურცელზე დაწერილი მოთხოვნები კოტეჯის ფანჯრიდან გადააგდეს, რომლის თანახმადაც, 9 საათამდე ისრაელის ციხეებიდან 234 პალესტინელის (ასევე, გერმანელი ტერორისტების ანდრეას ბაადერისა და ულრიკე მაინჰოფის) გათავისუფლებას, ნებისმიერ არაბულ ქვეყანაში მძევლებთან ერთად დაუბრკოლებლად გადაფრენას და გამართულ ბოინგს მოითხოვდნენ.

მოლაპარაკებები

მოთხოვნების შესრულებაზე ისრაელის ხელისუფლების უარმა ვითარება მეტად დაძაბა: გერმანელი სამართალდამცავებისა და ტერორისტების ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ისასთან შეთანხმების შედეგად ულტიმტუმის ვადა 3 საათით გაგრძელდა. გერმანელმა ფუნქციონერებმა, რომელთა რიცხვში გერმანიის მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერიც შედიოდა, ტერორისტებს, სპორტსმენთა გათავისუფლების სანაცვლოდ, მძევლებად ჩაბარება შესთავაზეს. ამ მცდელობამაც უშედეგოდ ჩაიარა. ამასობაში ისრაელის ხელისუფლებამ თანამემამულეთა საკუთარი ძალებით გათავისუფლებისთვის მზადყოფნის შესახებ განაცხადა, რაზეც გერმანიის მთავრობისგან უარი მიიღო. ოლიმპიურ კომპლექსში სპორტული ღონისძიებები, განრიგის მიხედვით, გერმანული პუნქტუალობით მიმდინარეობდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მხოლოდ ნაშუადღევის 4 საათისთვის მივიდა თამაშების დროებით შეჩერების გადაწყვეტილებამდე. ტერორისტებთან მოლაპარაკებებს ისრაელის სადაზვერვო სამსახურის "მოსადის" ხელმძღვანელი ცვი ზამირი პირადად აკვირდებოდა (თუმცა, მისი სამსახურებრივი პოზიცია მოგვიანებით გაირკვა).

უშედეგო მცდელობა

გერმანელმა სამართალდამცავებმა უმწეო მძევალთა გათავისუფლება ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვიტეს: სპორტულ კოსტიუმებში გადაცმული შეიარაღებული პოლიციელები ისრაელის ნაკრების აპარტამენტებში აივნიდან ჩასვლას ცდილობდნენ, როდესაც სრულიად მოულოდნელად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ტელეარხის პირდაპირ ეთერში ამ "საიდუმლო" ოპერაციის ამსახველი კადრები გამოჩნდა. ოპერაცია ჩაიშალა.

მოხდა ისე, რომ არაბული ლიგის ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა წარმომადგენლმა ისა დაიყოლია და ულტიმატუმი კიდევ რამდენიმე საათით გაგრძელდა.

ჯერი ტერორისტებისა და მძევლების არაბულ ქვეყანაში, კერძოდ, ეგვიპტეში გადაფრენაზე მიდგა. ამისთვის კი შინაგან საქმეთა მინისტრს ებრაელი სპორტსმენების თანხმობა სჭირდებოდა. გენშერმა პირადად მოინახულა დატყვევებულები და მათი თანხმობა მიიღო.

გზა "თავისუფლებისკენ"

გერმანიის მთავრობამ ტერორისტებისა და მათი მძევლებისთვის ბოინგი 727 და მიუნხენთან მდებარე ფიურსტენფელდბრუკის აეროპორტი გამოყო. გადაწყდა, რომ პალესტინელები ოლიმპიური სოფლიდან აეროპორტში ორი ვერტმფრენით გადაფრინდებოდნენ. ვერტმფრენებთან მისასვლელ სატრანსპორტო საშუალებად მათ ავტობუსი აირჩიეს. ამ წუთებში ხელისუფალთ უკვე მიღებული ჰქონდათ გადაწყვეტილება: აეროპორტში არაუგვიანეს თვითმფრინავში ასვლისა მათ ტერორისტებისთვის "ხაფანგი" უნდა დაეგოთ. იმის გამო, რომ კოტეჯიდან პალესტინელთა გამოსვლამდე არავინ იცოდა მათი ზუსტი რაოდენობა (ვარაუდობდნენ ოთხუთ ბოროტმოქმედს), ფიურსტენფელდბრუკის აეროპორტში ხუთი პოლიციელი საბრძოლო პოზიციებზე განლაგდა (რომელთაგან, როგორც მოგვიანებით ცვი ზამირი იუწყებოდა, არც ერთი არ ყოფილა პროფესიონალი სნაიპერი და ისინი არა სპეციალური შაშხანით, არამედ ავტომატური იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი). ავტობუსში ჩასხდომისას სამართალდამცავებისთვის უკვე ცხადი იყო, რომ ტერორისტულ აქტში რვა პალესტინელი მონაწილეობდა. საკომუნიკაციო სისტემის უვარგისობისა თუ არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა ამ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის "აეროპორტისთვის" გადაცემა.

გაუთვალისწინებელი შემთხვევა

აეროპორტის ტერიტორიაზე დაშვებისთანავე ვერტმფრენი ერთ-ერთმა ტერორისტმა დატოვა და ბოინგის შესამოწმებლად გაემართა. უცბად მოედანი განათდა და გასროლის ხმა გაისმა. არასწორი განლაგების შედეგად პოლიციელი საკუთარი კოლეგის "ბრმა" ტყვიამ იმსხვერპლა.

ერთ-ერთმა თავზარდაცემულმა ტერორისტმა პირველ ვერტმფრენში, რომელშიც ხელფეხშეკრული მძევლები ისხდნენ, ავტომატის ჯერი მოატარა, მისმა თანამებრძოლმა კი მეორე შვეულმფრენის მიმართულებით ხელყუმბარა ისროლა...

გერმანიის მთავრობის პრესსამსახური ოპერაციის წარმატებით ("მსხვერპლის გარეშე") დასრულებას იუწყებოდა: ისრაელში შამპანურის ბოთლები გაიხსნა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პრესმდივანმა კონრად ალერსმა ტელეკომპანია ABC-ს პირდაპირი ეთერით საზოგადოებას ოპერაციის "წარმატებით დასრულება" აუწყა. ისრაელში ერთ-ერთი მძევლის იაკოვ შპრინგერის ოჯახში მამის გათავისუფლებას შამპანურით აღნიშნავდნენ. თუმცა, რამდენიმე წუთში ამერიკული ტელეარხის წამყვანმა ცხრა მძევლისა (ტერაქტმა თერთმეტი მძევლის სიცოცხლე შეიწირა) და ხუთი ბოროტმოქმედის აეროპორტის ტერიტორიაზე დაღუპვის ცნობა გაავრცელა.

შედეგები

6 სექტემბერს მიუნხენის სტადიონზე გამართულ სამგლოვიარო ცერემონიალზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ეივერი ბრენდეჯიმ ისტორიული ფრაზა წარმოთქვა: THE GAMES MUST GO ON! ("თამაშები უნდა გაგრძელდეს"!).

ცოცხლად გადარჩენილი სამი ტერორისტი მიუნხენის ციხიდან შვიდი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს: 1972 წლის 29 ოქტომბერს ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს ბოინგი, რომელიც ბეირუთიდან ფრანკფურტის მიმართულებით მორიგ რეისს ასრულებდა. მათი მოთხოვნა მიუნხენის ციხიდან სამი პალესტინელი ტერორისტის გათავისუფლება იყო. გერმანიის მთავრობამ, ისრაელთან შეთანხმების გარეშე, გამტაცებელთა მოთხოვნა დააკმაყოფილა. მოგვიანებით გავრცელდა ვარაუდი, თითქოს ეს "გატაცება", ქვეყანაში მორიგი ტერაქტების თავიდან აცილების მიზნით, ოფიციალურ ბონთან (გერმანიის მაშინდელი დედაქალაქი) შეთანხმების საფუძველზე მოხდა.

სამი ტერორისტიდან ორი, ისევე, როგორც მიუნხენის ბარბაროსული აქტის დამკვეთები, "მოსადმა" ხანგრძლივი დევნის შედეგად სიცოცხლეს გამოასალმა. მესამე ტერორისტი ჯამალ ალ გაშაი მასზე და მის ნათესავებზე განხორციელებულ თავდასხმებს არაერთხელ გადაურჩა და, გავრცელებული ინფორმაციით, დღემდე აფრიკის კონტინენტს აფარებს თავს.

გენერალმა ულრიხ ვეგენერმა მიუნხენში დატრიალებული ტრაგედიიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ანტიტერორისტული დაჯგუფება GSG-9 შექმნა.

პიკასოს კერამიკა აუქციონზე

ოქტომბრის ბოლოს ლონდონის აუქციონზე პაბლო პიკასოს კერამიკას გაიტანენ. მხატვრის თაყვანისმცემლებს ასზე მეტი თეფშის, ფიალის, დოქის, ლარნაკის ყიდვა შეეძლებათ. ექსპერტების თქმით, თითო ლოტის ფასი ათასსა და 35 ათას გირვანქა სტერლინგს შორის მერყეობს.

აუქციონის მთავარი მშვენება კერამიკის ლარნაკი Tripode იქნება, რომელიც პიკასომ 1951 წელს გააკეთა. ის კერამიკით 1946 წელს დაინტერესდა, როცა სამხრეთ საფრანგეთში კერამიკული ნამუშევრების ბაზრობას დაესწრო. მხატვარი იმდენად აღფრთოვანდა, რომ ვორკშოპის ხელმძღვანელებმა მას იქვე დაუთმეს ადგილი სამუშაოდ და სანაცვლოდ მიიღეს უფლება, შეზღუდული რაოდენობით გამოეშვათ მისი დიზაინით შექმნილი ნივთები.

პიკასომ კიდევ 600-მდე სხვა ნივთი შექმნა. მისი დოქები, თასები და ფიალები შეზღუდული რაოდენობით, 25-500 ცალამდე გამოდიოდა ხოლმე. გარდა ამისა, ის თითო ეგზემპლარით ამზადებდა ნამუშევრებს, რომელთაც თავისთვის იტოვებდა. ცნობილი Tripode – პიკასოს ერთ-ერთი ადრეული ქმნილება – მხოლოდ ერთია მსგავსი 75-დან. აუქციონზე ასევე გაიტანენ რამდენიმე სხვა ნამუშევარსაც, მათ შორის: Femme du Barbu-ს და Visage de Femme-ს. 26 ოქტომბრის აუქციონზე პიკასოს კერამიკის გარდა ჟან კოკტოს ნამუშევრებიც გაიყიდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით

"სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ," "საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონებით დადგენილ სალიცენზიო მოთხოვნების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით მომართეს:

1. შ.პ.ს. "ევრამ" - ითხოვს შ.პ.ს. "ევრას" მიერ დაფუძნებული შ.პ.ს. "ხაშურის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა პანსიონისათვის" ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის გაცემას.
2. დაბა სურამში მდებარე შ.პ.ს. "კერძო სკოლა ივამ" - ითხოვს დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალურ ლიცენზიას.
3. შ.პ.ს. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრმა" - ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის გაცემას.
4. შ.პ.ს. "დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი კოლეჯმა" - ითხოვს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის სპეციალური ლიცენზიის გაცემას.
5. შ.პ.ს. "ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალმა" - ითხოვს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიას.
6. გორის რაიონის სოფ. თამარაშენში მდებარე შ.პ.ს. "იმედი" - ითხოვს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემას.
7. ქ. გურჯაანში მდებარე შ.პ.ს. "ვიქტორ ჰიუგოს სახელობის სკოლა და კოლეჯი" - ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილების შეტანას, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით სპს "თოფურია ნადირაშვილის" სამართალმემკვიდრეა შ.პ.ს. "ვიქტორ ჰიუგოს სახელობის სკოლა და კოლეჯი".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

GSIF საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგის გაზსადენის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ ანაგის განვითარების სათემო კავშირთან "ანაგა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ანაგა" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, სიღნაღის რაიონი,
სოფ. ანაგის, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი გივი ინდაშვილი -სათემო კავშირი "ანაგა"-ს თავჯდომარე

2005 წლის 7 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1800 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
საქართველო, სიღნაღის რაიონი,
სოფ. ანაგის, გამგეობის შენობა საკონტაქტო პირი გივი ინდაშვილი -სათემო კავშირი "ანაგა"-ს თავჯდომარე 2005 წლის 7 ოქტომბრის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

ისტორიული ექსკურსი ბრიტპოპში

"ოაზისის" ლიდერობას ბრიტანული სინგლების ჩარტებში ჯგუფის "ისტორიულმა" მტერმა – "ბლარის" წამყვანმა მომღერალმა დეიმონ ალბარნმა მოუღო ბოლო თავისი ანიმაციური ბენდით "გორილაზ". ძმები გალაჰერების სიმღერა The Importance of Being Idle პირველ ადგილს არავის უთმობდა, სანამ არენაზე "გორილაზ"-ის ახალი სინგლი Dare არ გამოჩნდა. ახლა პირველი სწორედ Dare გახლავთ, "ოაზისის" ჰიტმა კი მეხუთე ადგილზე ჩაინაცვლა.

ამ შემთხვევამ ბრიტანელებს 1995 წელი გაახსენა, როცა "ოაზისი" და "ბლარი" რქებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჩარტებში პირველი ადგილის მოპოვებისთვის. ერთსა და იმავე კვირაში მათი სინგლები Roll With It და Country House გამოვიდა და ხან ერთი ახერხებდა დაწინაურებას, ხან – მეორე. ეს მუსიკალური ბრძოლა, ცხადია, ჯგუფების ურთიერთობებზეც აისახებოდა. თითქოს მაშინ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ – ჩრდილოური მუშათა კლასის ჯან-ღონით სავსე ბიჭები და სამხრეთული საშუალო ფენის ხელოვნებაზე ორიენტირებული ტიპები, ანუ განმეორდა რაღაც ისეთი, რაც 60-იან წლებში "ბითლზსა" და "როლინგ სტოუნზს" შორის იყო.

1995 წლის ჩარტების ბრძოლაში "ოაზისი" ალბარნის ჯგუფმა დაჯაბნა და გალაჰერები მეორე ადგილზე ჩამოაქვეითა. თუმცა, იმავე წელს, ბოლოს მაინც ლიამის და ნოელის ალბომი What's the Story (Morning Glory) გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით გაიყიდა, ვიდრე "ბლარის" The Great Escape...

აი, სწორედ ეს მოგონებები აღძრა ბრიტპოპის მსმენელებში "ოაზისა" და ალბარნის გუშინწინდელმა დაპირისპირებამ. თუმცა, "გარდიანის" მუსიკალური მიმომხილველი ალექსის პეტრიდისი მიიჩნევს, რომ 1995 წელი ამ ახალ ინციდენტს არ უნდა შევადაროთ, რადგან სიტუაცია შეიცვალა. "ოაზისს" ახლა უპირისპირდება არა დეიმონ ალბარნი და მისი ძველი ჯგუფი "ბლარი", არამედ "გორილაზი" – აბსოლუტურად განსხვავებული ჟღერადობით. "ეს მწვერვალისკენ მიმავალი ორი კონტრასტული გზაა, ორი კონტრასტული იდეა იმის შესახებ, თუ როგორ შევინარჩუნოთ წარმატება. "ოაზისის" გიტარა ისევ ძველებურად ჟღერს. მათ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, ახალ დისკს ჩაწერენ თუ არა. ხალხი მათ მოსასმენად მიდის იმიტომ, რომ მართლა კარგი ცოცხალი ჯგუფია. დეიმონ ალბარნი კი იმ შემსრულებელს ჰგავს, რომელიც უფრო წინ წავიდა".

ასეა თუ ისე, პეტრიდის მოსაზრება სიმართლესთან მართლაც ახლოსაა. ალბარნის ვირტუალურმა ჯგუფმა ხომ მსოფლიოს გარშემო უზარმაზარ წარმატებას მიაღწია. ანიმაციური პერსონაჟები 2D, მარდოკი, ნუდლი და რასელი ალბარნმა ილუსტრატორ ჯეიმი ჰიულეტთან ერთად შექმნა. მათ საკუთარი ისტორიებიც მოუგონეს და შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით უფრო პოპულარულები გახდნენ ამერიკაში, ვიდრე თვითონ "ბლარი" იყო. ასე რომ, "გორილაზ" კვლავაც მწვერვალზეა. ვირტუალური ჯგუფი რეალურ წარმატებას ინარჩუნებს.

ძვირფასი ძველმანები დიზაინერისგან

პოლ სმიტის მაღაზიებს ნოვაციები არასდროს აკლდა. მაგალითად, ბოლოს, ზაფხულში მან თავისი პატარა კლიენტების კომფორტზე იზრუნა და ლონდონის მაღაზიაში საბავშვო ავტორები მიიწვია. მწერლები ისხდნენ და წიგნებს უკითხავდნენ სმიტის მაღაზიის მცირეწლოვან სტუმრებს.

ოქტომბრისთვის დაგეგმილი ნოვაცია კი ანტიკვარული ნივთების მოყვარულებს დააინტერესებთ. ლონდონის ძვირფასი მაღაზიებით გადატვირთულ რაიონ მეიფერში სმიტი ახალ მაღაზიას გახსნის და ანტიკვარს, ხელოვნების ნიმუშებს და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შეგროვებულ საინტერესო ნივთებს გაყიდის. ანუ, იქ ყველაფრის პოვნაა შესაძლებელი: მე-17 საუკუნის მოჩუქურთმებული სარკეც შეიძლება ნახოს კლიენტმა და 60-იან წლებში მაღალი მოდის რომელიმე დიზაინერის მიერ დამზადებული ყელსაბამიც. ძველი ჟურნალების მოყვარულებს 40-იანი წლების ჟურნალ "დომუსის" გადათვალიერებაც შეეძლებათ. სტუმრები აუცილებლად მოხიბლულნი დარჩებიან ანტიკვარული საწერი მაგიდითაც, რომელსაც რესტავრაცია პოლ სმიტმა გაუკეთა და თავის სავიზიტო ბარათად ქცეული – ზოლებიანი ტყავით გააწყო.

დიზაინერი ტრადიციას არ ღალატობს და მაღაზიასაც ორიგინალურად რთავს. პირველ დარბაზში მე-18 საუკუნის პარკეტი აგია, კედლები ვარდისფერია, ჭერი კი ლითონის ობობას ქსელით არის მორთული, რათა მთელი ბრწყინვალებით წარმოჩინდეს სხვადასხვა ზომის შანდალი.

მეორე დარბაზი უფრო საკუჭნაოს ჰგავს, კედლებზე ლურსმნებია მიჭედებული, ლურსმნებზე – გასაყიდი ნივთები...

პოლ სმიტი ამ უცნაური წამოწყების შესახებ ამბობს: "ნივთებს წლებია, ვაგროვებ. ამიტომ ძალიან მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს, მოვაბი თავი ამ არაჩვეულებრივი მაღაზიის გახსნას, სადაც თავს მოვუყრი ათას შესანიშნავ, საინტერესო ნივთს. მაღაზია უცნაური საგნების მიქსი იქნება, რომელიც სტუმრებს მუდამ გაახალისებს".

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო თბილისში

ვ ა კ ა ნ ს ი ა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს, 2005 წლის 1 ნოემბრიდან 2006 წლის 31 მარტამდე კულტურის განყოფილებაში ესაჭიროება

თანამშრომელი

განმცხადებელი უნდა ფლობდეს შემდეგ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას:

- გერმანული ენის ძალიან კარგი ცოდნა (მეტყველება/წერა), რუსული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა.
  თავდაჯერებული და ესთეტიური მანერები
- კარგი ზეპირი და წერითი გამოხატვის უნარი
  ქვეყანათმცოდნეობა (საქართველოსა და გერმანიის შესახებ)
- (კულტურულ) პროექტებზე მუშაობის გამოცდილება
  მზადყოფნა არასტაბილური სამუშაო დროისთვის
- კოლეგიურობა

სამუშაო მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

კულტურის სფეროს ქართველ, გერმანელ და სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობა

- კულტურული ღონისძიებების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება
  კულტურულ პროექტებზე მუშაობა
- საელჩოს სტუმრების თანხლება

საელჩოს წარმომადგენლობა კოორდინაციის სხდომებსა და პროექტის პარტნიორებთან

- საელჩოს პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან თანამშრომლობა

განაცხადისთვის საჭიროა შემდეგი საბუთები:

პირადობის მოწმობის ასლი

- ბიოგრაფია პროფესიული გამოცდილების მითითებით
  მოწმობები
- სარეკომენდაციო წერილები

გთხოვთ შემოიტანოთ განაცხადი **2005 წლის 30 სექტემბრამდე**

შემდეგ მისამართზე:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო,
კადრების განყოფილება, თელავის ქ.20
(სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი), 0103 თბილისი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გაქვნია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ მეგზავნელარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

შპს "საქართველოს რკინიგზის"

გენერალურ ინსპექციაში 2005 წლის სექტემბრიდან ამოქმედდება ცხელი ხაზი. მოგმართავთ თხოვნით, რკინიგზის სისტემაში არსებულ დარღვევა-ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში დაგვიკავშირდეთ

ტელეფონზე 56-31-41

PSP
ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"

- ფარმაცევტული კომპანია "პე-ეს-პე" აცხადებს 50 წლამდე უმაღლესი ფარმაცევტული განათლებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღებას საფთიაქო ქსელში ფარმაცევტის პოზიციაზე.
- კანდიდატების შერჩევა წარმოებს 2 ეტაპად.
- აუცილებელია ქართული ენის სრულყოფილად და რუსული ენის თავისუფლად ცოდნა.
- განაცხადები მიიღება 6 სექტემბრამდე.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ განაცხადი ჩვენს ოფისში
შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გაშზ. 148/III
თან უნდა იქონიოთ ერთი ფოტოსურათი და განათლების
დამადასტურებელი
დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები